185

№ 239
ნოემბრის 8, პარასკევი 1902 წ.
1877

ივერია

№ 239
ნოემბრის 8, პარასკევი 1902 წ.
1902

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1903 წელს

გაზეთი ,,ივერია“ გამოვა იმავე სივრცით და პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა,

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ **თუმანია**. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

☛ ვინც ახლავე დაიბარებს გაზეთს მერმისისთვის და ერთს თუმანს წარმოადგენს, ამა ნოემბრისა და დეკემბრის ნომრები მუქთად გაეგზავნება. ☚

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—,,ივერიის‘‘ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში, აგრეთვე სოსიკო მერკვილაძესთან.
ბათუმში: ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში, და ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.
ბაქოში:--ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
საბუნჩაში. პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—10 კაპ. სტრ., მეოთხეზედ—5 კაპ. მთელი გვერდი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

პირველ ნოემბრიდგან წლის დამლევამდე
„ივერია“
ჰღირს 2 მანეთად და 75 კაპეიკად

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

თავად-აზნაურობის თეატრი
ტელეფონი 617.

ხვალ, პარასკევს, 8-ს ნოემბერს, ხარკოვის რუსულის ოპერის არტისტების მიერ წარმოდგენილ იქნება
მომავალ ქართველ დედათა სკოლის
სასარგებლოდ

I

ლაკმე

ოპერა 3 მოქ. მუზიკა ლეო-დელიბოსი.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: ვან-დირ-ბრანდტი, არკიბშეისა, დობრჟანსკისა, პეტროვსკისა, ბაუერი; ბ-ნნი: ლენსკი, სუნცოვი, ჩემეზოვი და სხ.

II

ა. პ. ბონაჩიჩის მონაწილეობით

პიკის ქალი

(მე-II და მე-III სურათი მე-III მოქმედებისა, მუსიკა ჩაიკოვსკისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნ: პეტროვსკისა; ბ-ნნ: ბონაჩიჩი, გრადოვი, სერგეევი, პეტროვი, პევცოვი, ხარიდონი, სვაბოდინი და სხ.

კაპელმეისტერი **ლ. პ. შტეინბერგი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ბილეთები სახლებში არავის ეგზავნება და. მსურველთ მიმართონ თეატრის კასაში.

(2—მ.—2)

ევროპიელი ქალი

ინგლისურისა, ფრანგულისა და გერმანულის ენების მცოდნე, იძლევა

გაკვეთილებს

მსურველთ იკითხონ ქ-ნი ოპპე, ბარონის ქუჩა, ექიმ ლამბაშიძის ბინაზედ. (წ.)

კბილის ექიმი
ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდე, ხოლო საღამოობით 5—7-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 9—2-მდე და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

ექიმი ალ. მაღალაშვილი
მიხეილის ქუჩა, 30. ტელეფონი № 450

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 10—1-დე და საღამოთი 6—8-დე. წლ.

№ 13. ტელეფონი 617

დილის წარმოდგენა

ქართული თეატრი

კვირას, 10 ნოემბერს, 1902 წ.
დილის 12 საათზედ
ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილ იქნება
დაკლებულის ფასებით
სწორედ შუადღეზედ.

პატიოსნება

კომედ. 4 მოქ. გენრ. ზუდერმანისა; თარ. არ. ახნაზაროვისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი: ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ალ. კარგარეთელი, ოლ. ლეჟავა, ბ. რიონელი. ბ-ნნი: დ. აწყურელი, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ვ. გუნია, ი. ივანიძე ს. სვიმონიძე, შათირიშვილი, რომანიშვილი, ქლენტი და სხ.

ადგილების ფასი: ლოჟები 4 მანეთიდან 8 მან.-დე; პარტერი 50 კ.-დგან 1 მ. 50 კ.-მდე, ამფითეატრი 60 კ.-დან 1 მ.-მდე; გალერეა 20 კ.-დან 35 კ.-მდე.

შეგირდებისათვის ადგილები 40 კაპ.
დასაწყისი შუადღის 12 საათზედ.

მზადდება წარმოსადგენად „კოვერლეის მკვლელობა“ „მუშაკი და ნებიერი“, „მტერმოყვარე ძმები“.

თეატრის გამგეობა უმორჩილესად სთხოვს მაყურებლებს, პიესის მოქმედების დროს ტაშს ნუ დაუკრავენ და ნუ გამოიწვევენ ხოლმე მსახიობთ, რადგან უდროვო-დროს მოქმედების შეწყვეტა პიესას ახდენს და მსახიობთაც აკრძალული აქვთ მოქმედების დასრულებამდე გამოსვლა თავის დასაკრავად.

რეჟისორი **ვალ. გუნია.**

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჰ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, ნერვებისა და შინაგანის ავადმყოფისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. ქარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტეპარია) შინაგანისა, ვენერიულ და კანის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ხ. ტ. არშანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ ,,მასსაჟს‘‘, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

გ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგანი: 9—10.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11ს.

კამოევი.—საშარდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით და პარასკევობით 1—2 ს., კვირაობით 10—11 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით, კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

მთავრობის განკარგულებანი

ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად კეთილინება და ბრძანა ცნობილ იყოს ოსმალეთის კონსულად ნოვოროსსიისკში—საუდა-ბეი და პ. ვარნებედანის ვიცე-კონსულად ბათუმში.

ტფილისი, 8 ნოემბერი.

აგერ თითქმის თხუთმეტი წელიწადია, რაც ჩვენი საზოგადოება მოელის ერთს ფრიად საჭირო საქმის განხორციელებას. ეს საქმე არის დედათა სკოლის დაარსება. დედათა სკოლის აუცილებელს საჭიროებასა და სარგებლობაზედ ბევრჯერ იყო ლაპარაკი ჩვენს ლიტერატურაში და ამიტომ ამ საგნის დაწვრილებით განხილვას არ გამოვეკიდებით აქა.

მართლაც, ვინ არ იცის, რომ ჩვენს საზოგადოებას, მეტადრე ჩვენს სოფლებს დიდად ეჭირვება რიგიანად განათლებული და მასთანვე სოფლის ცხოვრებისთვის მომზადებული ქალები. რა შედეგი მოჰყვება ამ ქალთა სოფელში დატრიალებას, რა რიგ შესცვლიან ისინი აწინდელ უფერულს და ბევრ-ნაირად უიმედო ცხოვრებას ჩვენის სოფლისას, ამაზედ აქ ახლა ბევრი ლაპარაკი საჭიროდ არ მიგვაჩნია, ეს ისედაც ცხადია ყველასთვის, ვინც-კი ცოტათი მაინც დაჰკვირვებია ჩვენის სოფლის აწინდელს ყოფა-ცხოვრებას.

თუ ყოველივე ეს მართალია, მაშ რაღა უშლიდა ხელს აქამდის ამ საქმის აღსრულებას? ერთი რამ მცირე საგანი, ის, რაც ყოველ ჩვენს საქმეს აფერხებს და უკან აყენებს, - ხელმოკლეობა, უფულობა.

ყველამ კარგად იცის, რომ სკოლის რიგიანად მომართვა-მოწყობა ადვილი საქმე არ არის. ამისთვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა ბლომა ფული. მკითხველებს ეცოდინებათ, რომ არსებობს ეგრედ წოდებული დედათა კომიტეტი, რომელსაც მინდობილი აქვს მომავალ სკოლისთვის საჭირო თანხის შოვნა, მაგრამ, ისიც ხომ ყველამ ვიცით, რომ საქმის გასაძღოლად საჭირო ფულის შეგროვება, მეტადრე ჩვენში, ადვილი არ არის. ამიტომაც კომიტეტის დიდმა ცდამ და გამჭრიახობამ, სამწუხაროდ, ჯერ-ჯერობით მცირე ნაყოფი გამოიღო, იმდენად მცირე, რომ ბევრს ამ საქმის გულშემატკივარს თითქმის იმედი გადაუწყდა კიდეც ამ გზით სკოლის უზრუნველ-ყოფისათვის საჭირო თანხის შოვნისა და თვით სკოლის დაარსებისაც.

ასე იყო საქმე აქამდის. ახლა-კი სულ სხვა იმედი გვეძლევა; ახლა საქმე იმ ზომამდე მისულა, რომ სკოლის დაარსების იმედი მოგვეცა: თითქმის მოულოდნელად აღმოჩნდა წყარო, რომელიც საქმის საკეთილოდ დაბოლოვებას გვიქადის ახლო მომავალში.

ამ ამბით აღფრთოვანებული დედათა კომიტეტი ამ მოკლე ხანში კვლავ გამოფხიზლდა, ერთგულად შეუდგა ხელახლად თავის მოვალეობის აღსრულებას და დიდს უნარს იჩენს. მათის მეცადინეობით დღეს სათავად-აზნაურო თეატრში იმართება წარმოდგენა თავ. წერეთლის საოპერო დასისა. წარმოადგენენ ორ ოპერას, „ლაკმეს“ და „პიკის ქალს“ და წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებენ ოპერის თითქმის ყველა საუკეთესო არტისტები. წმინდა შემოსავალი ამ წარმოდგენისა მოხმარდება მომავალ დედათა სკოლის ფონდის გაძლიერებას.

საჭიროა მხოლოდ საზოგადოების თანაგრძნობა და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი საზოგადოება, რა-კი შეიტყობს ამ ამბავს, უყურადღებოდ არ დასტოვებს დღევანდელ წარმოდგენას. სრულიად დარწმუნებულნი ვართ, რომ დღეს თეატრის დარბაზი სავსებით იქნება გავსებული და ჩვენი საზოგადოება ყველას ცხადად დაუმტკიცებს, რამდენად თანაუგრძნობს ამ მართლა-და თანაგრძნობის ღირსს საქმეს.

ამასთანავე ის იმედიც უნდა ვიქონიოთ, რომ დედათა კომიტეტი დღევანდელს წარმოდგენას არ იკმარებს, რომ მომავალში კიდევ სხვა ბევრს ამგვარ საშუალებას მიჰმართავს. იმედს არ ვკარგავთ, რომ კონცერტების, ცხოველ სურათების და ბაზრების მართვით კომიტეტი კარგა ფულს შეიძენს თავისს კეთილ განზრახვის აღსასრულებლად.

თუ ქალებმა მოინდომეს, ბევრი რამ შეუძლიათ შეერთებულის ძალით. სიკეთის და ქველმოქმედების სურვილი და უნარი ხომ თითქმის ბუნებრივი თვისებაა ქალის ნაზის გულისა, და კიდეც ამიტომ არის, რომ ამგვარ საქმეების მართვაში ქალები ბევრად მეტს შნოს და უნარს იჩენენ, ვიდრე მამაკაცები. უეჭველია, რომ ჩვენი ქალები ამ საქმეში არ ჩამორჩებიან უკან სხვა ქვეყნის ქალებს, რომ ისინიც მათსავით მხნედ და ერთგულად შეუდგებიან თავისს საქმის სასიკეთოდ დაბოლოვებას და ამით გაუწევენ ნამდვილ დედობრივ სამსახურს თავისს ხელ-მოკლე ქვეყანას.

ტფილისი

✦ სამშაბათს, 12 ნოემბერს დანიშნულია კავკასიის სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრება.

✦ მოახლოვდა დრო ქალაქის თავის ამორჩევისა და სხვა-და-სხვა ასახელებს თავის კანდიდატს; ეგრედ წოდებული „დვორცოვაია პარტია“, როგორც ნამდვილ წყაროებიდგან შევიტყეთ, ასახელებს კონსტანტინე მიხეილის ძეს ალიხანოვს.

✦ პეტერბურგიდან დეპეშა მოვიდა ტფილისში, რომ ავღანისტანში დიდს აჯანყებას უფეთქნია ემირის წინააღმდეგ. ინგლისელები სასწრაფოდ აგროვებენ ჯარებს ავღანისტანის სამზღვრების მახლობლადაო.

✦ დეპეშითვე იწერებიან, რომ გზა შეკრულა ბათუმსა და ახალციხეს შორის დიდის თოვლის გამო.

✦ „Вѣст. Винодѣлія“-ს უკანასკნელს ნომერში (№ 11) დაბეჭდილია წერილი პროფ. ვას. პეტრიაშვილისა Примѣненіе сѣрнистой кислоты въ винодѣліи და სტ. გულიშამბაროვისა ღვინის სიყალბით კეთების შესახებ მოსკოვში.

✦ ქუთაისის ქალაქის გამგეობის წევრად გუბერნატორს დაუმტკიცებია ბ-ნი კანდელაკი, რომელმაც ბ-ნს ალშიბაიასთან ერთად იყარა კენჭი და სამის თეთრის კენჭით ნაკლები მიიღო, ვიდრე ამ უკანასკნელმა. ბ-ნი კანდელაკი რამდენიმე წელიწადია ფოთის ქალაქის საბჭოს მდივნად მსახურობდა და ამ ზაფხულს ამორჩეულ იქმნა ქუთაისის საბჭოს მდივნად, მაგრამ ამორჩევის უმალვე უარი სთქვა თანამდებობაზე.

✦ ქუთაისის ქალაქის საბჭოს მდივნად გუბერნატორს დაუმტკიცებია ბ-ნი ს. ჯაფარიძე რეალურ სასწავლებელში მასწავლებლად ნამყოფი.

✦ კავკასიის უსინათლოთა სამზრუნველოს 1 ოკდომბერს ჰქონდა კასაში 16,883 მ. 80 კ. ოკდომბრის განმავლობაში შემოუვიდა ნაღდი 1732 მ. 59 კ., დაეხარჯა 2772 მ. 70 კ. 1 ნოემბრისათვის დარჩა 15843 მ. 69 კ. სამზრუნველოს თვალით ავადმყოფთა სამკურნალოში მივიდა 522 ახალი ავადმყოფი. ძველნი და ახალნი ავადმყოფნი ოკდომბრის განმავლობაში მისულან სამკურნალოში 4400-ჯერ. სამკურნალოს ამ ერთს თვეში 80 ოპერაცია გაუკეთებია.

✦ დღეს, 8 ნოემბერს, დანიშნულია ტფილისის პირუტყვთა მფარველ საზოგადოების ოცდა ხუთის წლის არსებობის საიუბილეო დღესასწაული, ამავე დღეს დანიშნულია საზოგადოების ახალ შენობის კურთხევა რიყის ქუჩაზედ; ამ სახლში დაარსებული იქნება პირუტყვთათვის სამკურნალო, რომელიც ამავე დღეს დაიწყებს მოქმედებას.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას შეუდგენია ადრესი, რომლითაც იგი ულოცავს პირუტყვთა მფარველ საზოგადოებას ოცდა ხუთის წლის არსებობის დღეს.

✦ სამეურნეო საზოგადოების საბჭოს დაუვალებია საბჭოს წევრთათვის კრიმგირეისა და სააკოვისათვის საზოგადოების მხრივ დაესწრნენ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების საიუბილეო დღესასწაულს.

✦ კავკასიის წარსულმა სამეურნეო გამოფენამ დიდი ზარალი მოუტანა ნივთიერად სამეურნეო საზოგადოებას. მან იზარალა, არამც თუ ნივთიერად, არამედ ზნეობრივადაც. ამ საზოგადოებას ბევრმა აუტეხა დავიდარაბა: ჯერ მემუსიკეების წარმომადგენელმა ბ-ნმა დანდუროვმა გამოუცხადა უკმაყოფილება და უჩივლა საზოგადოებას ორას თუ-

მანზედ; ამას მოჰყვნენ სხვა-და-სხვა პავილიონების ამშენებლები და ამათი საქმე დღევანდლამდე გაუთავებელ დავიდარაბად გარდაიქცა. გუშინ, 7 ნოემბერს, გამოფენის უმთავრესს პავილიონის ამშენებელმა ბ-ნმა კანდუროვმა წარუდგინა ქაღალდი სამეურნეო საზოგადოების მდივანს, ბ-ნი ე. იოსელიანს და სთხოვა, საზოგადოებამ მიზღოს ხელშეკრულობის ძალით, შვიდასი თუმანი, რაიცა მე არ მიმიღიაო; პავილიონის ამშენებლის გამოანგარიშებით, ეს შენობა დაჯდა 19,000 მან. ამ ფულიდან მივლე 12000 მ. და 7,000 მან. საზოგადოებაზედ დარჩაო; ბ-ნი კანდუროვი აცხადებ, რომ თუ საზოგადოება არ დამაკმაყოფილებს, იძულებული ვიქნები სასამართლოში ვიჩივლოვო.

◆ ტფილისის გუბერნიის საბეითალო ინსპექტორისაგან ქალაქის გამგეობამ მიიღო ერთი ეგზემპლიარი იმ წესებისა, რომლითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ საქონლის ჭირის მოსპობის დროს.

◆ ტფილისის საეპარქიო მმართველობამ მიჰმართა ქალაქის გამგეობას და სთხოვა, გვიშუამდგომლეთ, ან ნება დაგვრთეთ, რომ ვარანცოვის ხიდის მხრივ შემოსავალთან, მარჯვნივ ალექსანდრეს ბაღში გავმართოთ პავილიონი, სადაც მხოლოდ წმინდა ს მთელს გავყიდითო; მმართველობა სთხოვს აგრეთვე, შეატყობინოს გამგეობამ იჯარის პირობანი და მმართველობა დაუყოვნებლივ წარმოგიდგენთ პავილიონის გეგმას დასამტკიცებლადაო.

◆ ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისიას აწ ჟამად შეუძენია 1500 სული საკლავი საქონელი ხორცის დუქნებისათვის; ეს ამოდენა საქონელი კომისიას დაუყვია ნაწილ-ნაწილად და სხვა-და-სხვა საძოვრებზედ მოუთავსებია; კომისიას განზრახვა აქვს, იჯარით აიღოს აგრეთვე ის საძოვრის ადგილი ბორჩალოს მაზრაში მირზოევისა, რომელიც მან ამ წინაზედ დაიწუნა. ამ ჟამად კომისიას ყოველ მხრივ მოსდის წინადადება საქონლის პატრონთაგან საკლავი საქონელი შეიძინეთო; იმისთანა პირობასაც-კი უდებენ კომისიას, რომ ფული თუნდა გაზაფხულზედ მოგვეცითო და ამ ხანში ან თუ მოკვდა რამ, ან დაიკარგა, ზარალს ჩვენა ვზღავთო; კომისია ყველას უარს ეუბნება, რადგანაც საკმარისი თანხა არა აქვს.

◆ ნათქვამია „თაფლი იყოს, თორემ ბუზი ბაღდადიდგან მოფრინდებაო"; თაფლი გაჩნდა და ბუზმაც ალლო აიღო; გაჩნდა ქალაქის დუქნებისათვის საკლავი საქონლის ვაჭრობა და ვაჭრებმაც წამოჰყვეს თავი, როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, იმ თანხიდგან, რაც ქალაქის საბჭომ გადასჭრა ქალაქში ხორცის დუქნების დასამართავად, ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისია ნადიმს ვერ გაიგრძელებს და ფეხს მაინც და მაინც ფართოდ ვერ გაშლის, კომისიას საკმაო თანხა არ აქვს ვერის დუქანი მოჰმართოს, კომისიას სალსარი არ აქვს ერთბაშად შეიძინოს 3000—5000-მდე სული საქონელი და სხვა; ამ ჟამად ქალაქში აპირობენ შეადგინონ ამხანაგობა, რომელიც დაიწყებს საკლავ საქონლით ვაჭრობას; ამხანაგობას ძირითადი თანხა ექმნება ას ათასი მანეთი, რომელსაც იგი მხოლოდ საქონლის ვაჭრობაში დაატრიალებს; ამხანაგობას განზრახვა აქვს ყოველ კუთხეში იყოლიოს შეძენილი საქონელი და საჭიროებისამებრ მოერეკებოდეს ქალაქში; ამ მხრივ ხორცის დუქნებს ბევრი ვერაფერი დღე დაადგებათ: თუ აქამომდე გვპირდებოდნენ ხორცის გაიაფებას, ახლა სრული საბუთი აქვთ დაიძახონ,—საქონელი დაძვირდა და ხორციც უნდა დაძვირდესო.

◆ ამ ბოლოს დროს ქალაქში გადამდებ სენით ავადმყოფობამ შესამჩნევად იმატა, 28 ოკდომბრიდგან 4 ნოემბრამდენ გადამდებ სენით ტფილისში ავათ გახდა 22, ამათში 13 ქუნთრუშით და 5 ხუნაგით; ამავე ხანში ქალაქის ღედათა საავადმყოფოში ჩაწერილა 7 ავადმყოფი; გადამდებ სენით თავშესაფარებში ჩაწერილა 7 ავადმყოფი.

◆ თუმცა „ჰელიოსის" მიერ შედგენილი პროექტი ქალაქის ელექტრონით განათებისა უკვე მზად არის აგერ რამდენი ხანია, მაგრამ ბ-ნ ეფინჯიანცს ჯერაც არ წარუდგენია ეს პროექტი გუბერნატორისათვის.

◆ ქალაქის მეშჩანთა წარმომადგენლების კრება ახლო მომავალშია დანიშნული ქალაქის საბჭოს დარბაზში.

◆ ამ თვეში იქნება დანიშნული ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა კრება.

◆ თუმცა გამგეობისა და ქალაქის ხორცის დუქნების მეთვალყურე კომისსიის წევრთა შეერთებულმა კრებამ გარდასწყვიტა, რომ ვერის მოედანზედ დაუყოვნებლივ შეუდგნენ ხორცის დუქნისათვის ქალაქის ფარდულის მოწყობასა, მაგრამ დღეს აქომამდე ქალაქის ამშენებელ განყოფილების გამგეს ბ-ნ ეფინჯიანცს, თითიცარ გაუნძრევია. ამის მიზეზი ის არის, რომ კრებაზედ ეფინჯიანცი ამტკიცებდა, შესაძლებელი იქნება ამ ფარდულის მოწყობა და საჭირო ფულსაც ვიშოვითო, ახლა-კი კომისსია ეხვეწება, შეუდექით დროით მუშაობასაო; ეფინჯიანცი პასუხად ამბობს, მიჩვენეთ ის წყარო, საიდგანაც საჭირო თანხა დავხარჯო ამ ფარდულის გადასაკეთებლად, კომისსიაც ზის გულ ხელ დაკრეფილი და ვერაფერი მოუფიქრია; ისიც-კი ვერ მოუხერხებია, დანიშნოს შეერთებული კრება და მოახსენოს თავისი გასაჭირი. კომისსიას გარდაწყვეტილი ჰქონდა ავლაბარში და ვერაზედ ხორცის დუქნების დაარსება ნოემბრის მიწურულამდე მოეხერხებინა, ახლა-კი, როგორც სჩანს, ვერაზედ მცხოვრებლებს არც პირველ იანვრამდის ეღირსებათ ამისთანა დუქანი,

◆ როგორც გამგეობისა და ქალაქის ხორცის დუქნების შეერთებულ წევრთა კრებაზედ გარდასწყდა, პირველ ნოემბრიდგან ხორცის დუქნებში კომისიას უნდა შემოეღო რაღაც დავთრები, რომლებშიაც ყველა მუშტარს შეეძლო, ჩაეწერა თავისი უკმაყოფილება; გადის აგერა პირველი მესამედიც ამ თვისა და დავთრების ხსენება არსად არის; ხორცის დუქნებში-კი თავის რიგზედ ჩვეულებისამებრ ხდება ის უწესოებანი, რაც ყოველთვის მოსალოდნელია ვაჭრობაში; დუქნების მეთვალყურე კომისია კარგს იზამს, ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს, თუ შესაძლებელია და თუ მართლა საჩივარ წიგნების შემოღებას უწამლებს რასმე, მალე შემოიღოს ეს წიგნები.

◆ ხუთს ნოემბერს ქალაქის ღამის თავშესაფართა კომისსიის წევრთა კრება არ შესდგა.

—

შეცდომის გასწორება: გუშინდელს, 238 №-ში გ. გ. წულუკიძის ნეკროლოგში რამდენიმეჯერ დაბეჭდილია „ჭანთეთური", უნდა იყოს „ჭანიეთური".

—

სამეურნეო საზოგადოების კრება. ტფილისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების კრებაზე, 5 ამა ნოემბერს, როგორც გუშინდელ ნომერში გვქონდა მოხსენებული, ბ-ნ ტიმოფეევის მოხსენების განხილვის შემდეგ საზოგადოების წევრმა გიორგი დურმიშხანის ძემ ჟურულმა წაიკითხა ფრიად საინტერესო ვრცელი მოხსენება კოოპერაციების განვითარების შესახებ დასავლეთ ევროპაში. თუ ყურადღებით ჩაუკვირდებით, ასე დაიწყო პატივცემულმა ლექტორმა, უმაღლესად დამტკიცებულ სამეურნეო საჭიროებათა განსაკუთრებულ საბჭოს პროგრამმას, არ შეგვიძლია ორი განსაკუთრებული თვისება არ აღვნიშნოთ ამ პროგრამაშიო. ერთის მხრით აღნიშნულია კითხვები, რომელნიც ეხებიან სამეურნეო წარმოებათა არსებითს მხარეს, აღნიშნულია ისეთი კითხვები, რომლის რიგიანათ გადაწყვეტას თანაზდევს სამეურნეო წარმოების განვითარების გზა, ესე იგი ისეთი statusquo, როცა მეურნე მცირე ხარჯის გაღებით, შედარებით უფრო მეტ ნაწარმოებს ამზადებს, უფრო მეტ სარგებლობას ჰპოულობს მიწიდან. მეორეს მხრით დასახულია კითხვები, რომელთაც აქვსთ სახეში გააუმჯობესონ ზოგიერთი პირობანი, რათა აწინდელმა მეურნეობამ, კიდევაც რომ იგი აღნიშნულ განვითარების გზას არ დაადგეს, უფრო მეტი სარგებლობა მოუტანოს მეურნეს. ამ მიზნის მისაღწევ ზომებს, თუმცა მათ სარგებლობის მოტანა-კი შეუძლიანთ, მაგრამ მაინც პალლიატიური მნიშვნელობა აქვსთ, ეს ზომები მეურნეობის ფიზიონომიას ვერ შესცვლიან. იმ ზომათა შორის, რომელნიც მეურნეობის განვითარებას, პროგრესს ხელს უწყობენ, თვალ-საჩინო ადგილი უჭირავს სამეურნეო კოოპერაციების შემოღებას. კოოპერატიულ დაწესებულებათა შემოღება აუცილებელია, რადგან ცხოვრებაში ახალი წარმოების პირობები დღითი-დღე მკვიდრად ფეხს იდგამს, კაპიტალისტური წეს-წყობილება თანდა-თან ყველგან ვითარდება, და ამიტომ ახლო მომავალში შეუძლებელი გახდება რაციონალურ მეურნეობის წარმოება.

ამ უკანასკნელ დროს მრავალ მკვლევართა ყურადღებას იქცევს თითქმის ყველგან ის გარემოება, რომ შუათანა მამულის რაოდენობა მრავლდება, ამავე დროს მსხვილ მამულების რაოდენობა-კი მცირდება. მრავლდება აგრეთვე მეორეს მხრით წვრილმანი მამულების რაოდენობა, შუათანა მამულების რაოდენობა-კი კლებულობს. მართალია, ზოგიერთნი სწავლულნი უარს ყოფენ, რომ ეს გარემოება საზოგადო მოვლენათ იყოს აღიარებული, რომ ამ გვარ მოვლენას საზოგადო ხასიათი მიეცეს, მაგრამ მეორეს მხრით ეკონომისტების უმრავლესი ნაწილი-კი ამტკიცებს, რომ აწინდელი მამული, აწინდელი მიწათ-მფლობელობა წვრილმან მამულებად გარდაიქმნება, წვრილ-წვრილ მფლობელობის ფორმად შეიცვლება. აი, ეს წვრილ მფლობელობის არსებობა, რაიც ამ ჟამად თითქმის უმთავრესს ფორმადაა აღიარებული, შეუძლებელი იქნებოდა, რომ მათ კეთილ-დღეობას ხელს არ უწყობდნენ კოოპერაციები, რომელნიც, როგორც დასავლეთ ევროპის პრაქტიკამ გვიჩვენა, საიმედო კორრექტივად არიან მიჩნეულნი გართულებულ ცხოვრების ახალს პირობებში. დასამტკიცებლად იმისა, თუ რამდენად გავრცელებულია წვრილმან მამულების რაოდენობა, ამის შესახებ უტყუარ საბუთებს ვპოულობთ გერტცის გამოკვლევაში აგრარიულ კითხვების შესახებ. 1886 წლის სტატისტიკის მიხედვით ბელგიაში 84,22$^0/_0$ მამული 3 გექტარზე ნაკლები მიწით განისაზღვრება, 95,43$^0/_0$—10 გექტარზე ნაკლებით, 51,9$^0/_0$—$^1/_2$ გექტარზე ნაკლებით; ჰოლანდიაში 1893 წლის სტატისტიკით 66,9$^0/_0$ მამულებისა უდრიდა 1—10 გექტ.; დანიაში 1895 წელს 99,13$^0/_0$ ყველა მამულებისა შეადგენდა წვრილმან მამულებს; შვეიცარიაში 57,6$^0/_0$ მამულებისა 5 გექტ. ნაკლები და 93,8$^0/_0$—20 გექტ. ნაკლები მიწით შემოიფარგლ ბოდა. თუმცა ინგლისი განთქმულია თავისი მსხვილის მამულებითა, მაგრამ ამავე გერტცის სიტყვით, შუათანა და წვრილმანი მამულები ამ ბოლო ხანს თან და თან მრავლდება. რაიცა შეეხება ჩვენს ქვეყანას, საკმარისია ცოტაოდი მაინც გავითვალისწინოთ კავკასიის სასტატისტიკო კომიტეტის მიერ მოყვანილი ციფირები, რომ ნათლად წარმოვიდგინოთ, თუ როგორ წვრილმანდება ჩვენშიაც მიწათ მფლობელობა.

ყველა ეს მაგალითები საკმარისია, რომ კაცმა გაითვალისწინოს, შეუძლია თუ არა წვრილმან სამეურნეო ერთეულს მოიპოვოს მეურნეობის გასაუმჯობესებლად ძვირფასად ღირებული სამეურნეო იარაღები, შეიძინოს სხვა-და-სხვა სამეურნეო საჭირო ცოდნა, და სხვ. და სხვ. რასაკვირველია, თვითოეული მემამულე ამ მხრით მარტოთ მარტო უღონოა. ამ შემთხვევაში თვითოეულს მემამულეს დიდ დახმარებას გაუწევდა კოოპერაციები, რომლის უმთავრესი პრინციპი, თავი და თავი დევიზია, შეაერთოს განცალკევებული ძალები და ამით შექმნას სალი და ნაყოფიერი პირობა მეურნეობის კეთილად წარმოებისათვის. ამ გვარი კოოპერაციების შემოუღებლად წვრილმანი კოოპერაციების არსებობის სალიკვიდაციო ხანა დაახლოვდება, ხოლო, თუ კოოპერაციების მოქმედება გაძლიერდება, წვრილმანი კოოპერაციების არსებობა არა თუ შესაძლოა, პირიქით ეს ფორმა მიწის მფლობელობისა უპირატესობას დაიჭერს, რადგან ამ კოოპერაციებს შეუძლიანთ შექმნან ისეთი რაზმი წვრილმან მესაკუთრეებისა, რომელნიც თანასწორ უფლებებით იქნებიან აღჭურვილნი, რომელთაც სრული წარმოდგენა ექმნებათ თავის ძალღონეზე, საზოგადო სალიდარობაზედ, რომელნიც ძმურად ჩაებმებიან საერთო წარმოების ფერხულში, და ამით გადარჩებიან მსხვილ კაპიტალისაგან ჩანთქმას.

რასაკვირველია, კოოპერაციების მნიშვნელობა სრულიადაც არ მოასწავებს საყოველთაო კეთილდღეობას, სხვა წარმოებების დარგიც უნდა განვითარდეს განსაკუთრებით სამეურნეო სფეროს გარეშე. მხოლოდ ისეთის ატმოსფერის შექმნა, როცა სულ მცირე მესაკუთრეც-კი თანასწორ უფლების მქონე წევრად შეიქმნება მსოფლიო ბაზარზე, იმდენად საგულისხმიერო შეიქმნება, რომ ამ გვარი კოოპერაციების გვერდის ახვევა მოუხერხებელია და თან შეუძლოც. პირ-იქით საჭიროა სერიოზულად შევისწავლოთ ეს დაწესებულებანი დასავლეთ ევროპაში, და ამათის მიხედვით შევქმნათ ჩვენში ც ამ საჭირო დაწესებულებათა შემოღების პირობანი.

სამრეწველო კოოპერაციები დასავლეთ ევროპაში დაარსდნენ მეცხრამეტე საუკუნის მეორმოცე წლების გასულს. თავდაპირველად ამ კოოპერაციებს მხარჯველ (потребительный) კოოპერაციების სახე ჰქონდათ, ესე იგი, ეს დაწესებულებანი კავშირი იყო იმ წევრთა, რომელთაც აზრად ჰქონდათ შეეძინათ სანოვაგე პირდაპირ, უშუამდგომლოდ მწარმოებლისაგან იაფად და ამისთანავე კარგის ხარისხისა.

ამნაირად თავიდანვე გამოირკვა უმთავრესი პრინციპი კოოპერაციებისა. ლუი ბერტრანი თავის გამოკვლევაში: „ბელგიის ურთიერთ დამახმარებელ საზოგადოებანი" ასე განმარტებს კოოპერაციების დანიშნულებას: „ძირითადი პრინციპი კოოპერაციებისა განდევნაა უსარგებლო შუამდგომლებისა. კოოპერაცია საშუალებაა საზოგადოების მშვიდობიანად, ნორმალურად და რაციონალურად განვითარებისათვის. იგი უმზადებს საზოგადოებას მომავალს და ამავე დროს აწმყოს არ არღვევს". რამდენად შუამავლები უსარგებლონი არიან, იქიდგანაც სჩანსო, ამბობს ბერტრანი, რომ კოოპერაციების საშუალებით სასმელ-საჭმელის და ტანთსაცმელის შესაძენათ შესაძლოა 15—20$^0/_0$ ეკონომიის გაწევა. ამ აზრის დასამტკიცებლად ტოტომიანცსაც ფრიად საგულისხმო ციფირები აქვს მოყვანილი თავის ვრცელ გამოკვლევაში. შუამდგომლების მეოხებით ფასები ამ რიგათ მატულობს: პურზე 10—30$^0/_0$-დის, ბურღულზე 31$^0/_0$ დის, მუხუდოზე 30$^0/_0$-დის, ბრინჯზე 25$^0/_0$-დის, ზეთზე 13—22$^0/_0$-დის და ქვა-ნახშირზე 120$^0/_0$-დის. მთელი მოწყობილობა, ადმინისტრაცია შუამდგომლობისა 20$^0/_0$ ჯდება, ხოლო ყველა ამ ხარჯს კოოპერატიული დაწესებულებანი არა უმეტეს 7$^0/_0$ ეწევა.

კოოპერაციების მნიშვნელობა უციფრებოთაც ცხადია, რადგან მთელი დასავლეთი ევროპა ამ ჟამად ამ გვარი კოოპერაციებითაა მოფენილი და სულ მოკლე ხანში ამ დაწესებულებებმა თავისი გავლენა იქონიეს ვაჭრობა-მრეწველობაზე. კოოპერაციების განვითარება ყველგან სწარმოებდა ნორმალურად და თანდათობით, თუმცა ზოგიერთ სახელმწიფოებში ამ დაწესებულებების განვითარება დროებით ფერხდებოდა. ეს დროებითი შეფერხება აიხსნებოდა იმ გარემოებით, რომ მთავრობა, კანონმდებლობა არ უწევდა დახმარებას და მფარველობას კოოპერატიულ დაწესებულებათ. ლუი ბერტრანი არა ერთხელ

ფელეტონი

ჩვენი ავ-კარგი

(წერილი ქიზიყიდან)

რაც ადამიანმა თავის თავს უყო, ქვეყანაც ვერ უზამდაო. რაც მოგივა ალიაო, ყველა შენი ბრალიაო. რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო. და აკი ჩვენც, ქართველებს, ყველა მარცხი და უბედურობა ჩვენის თავითა დ ბრალით გვემართება, ჩვენი ყველგან და ყველაში თავ-შაუდებლობა, წინ დაუხედაობა, უთავბოლობა, გაუფრთხილებლობა, წრეს-გადასული გულ-მინდობილობა, საქმის რიგიანად აუწონ-დაუწონლობა, შორს-გამჭვრეტელი, კრიტიკული მსჯელობის უქონლობა, უზრუნველობა სწორედ საარაკოა, და აკი დედა ქართლისაც ამიტომა სტირის და მოსთქვამს:

შვილო, თავ-შაუდებელო,
ვუი, მოგიკვდეს დედაო,
დიდი მთა-ბარის პატრონსა
რატო მაგეთსა გხედავო:
დაგნატრებია ქადიც-კი,
შე უსაქმურო ქედაო!
შინ კატა არას შაგიჭამს
და გარეთ—ძაღლი ყბედაო!..

გვყვანან სოფლებში ლომკაცურად გამრჯელნი მოსაქმეებიც, რომელთა დოვლათი დუღს და გადმოდის კახურ მაჭარივით ბუყბუყითა, მაგრამ... რა გამოვიდა, ტყუილად-კი არ დაგვცინიან სომხის ვაჭრები ამ კვიმატი სიტყვებით: ქართვლის მდიდარს რო ფეხები ოქროსი ჰქონდეს, თავი მაფრახის ექნებაო; ქართველს თავში უბრაგუნებდნენ და თითონვე კითხულობდა ნამძინარევი: ბიჭოს! ე ბრაგი-ბრუგის ხმა საიდამ მოისმისო?!

აბა, მაშ რა ეშმაკი და ქაჯია, თუ ესე არ არის, თუ-კი ჩვენი ყოფა-ცხოვრების წინმავალ ბელადს ჩვენს დედა-ქალაქს ტფილისსაც-კი ისეთის სამარცხვინო ძილითა სძინავს, რომ ქართველთა უმრავლესობა თავისი კეთილ-მეპატრონეების ამოსარჩევადაც-კი ვერ გაცუცუნებულა შინიდამ კარში და პირველ უბნის 230 ამომრჩევლებში 50 კაცი რის ვაივაგლახით წაბაჯბაჯებულა არჩევნების დღეს. თუ ასეა ტფილისში, აბა, სოფლელთა უმრავლესობის ათასნაირ უვიცობაზედ, დაუდევნელობაზედ და თვით-ცნობიერების შეუგნებლობაზედ რაღა გვეთქმის!..

ქიზიყელს კაცს რომ დაუდევნელობა სჭირს საერთო საქმეში, ღმერთმა ყველა ქრისტიანს აშოროს! მთელი წლის მოსავალიც რომ კალიამ მოუჭამოთ, მაინც არ წავლენ დასახოცად, ვიდრე გოგოლის „დერჟიმორდები" ცემა-ტყეპით და ლანძღვა-გინებით არ გარეკავენ ძალის-ძალად თავისი წლის სარჩო-საბადებლის გადასარჩუნებლად. ასეთივე საუკუღმართო ზნე-ჩვეულება სჭირთ საერთო გზებისა და არხების გაკეთებაშიაც, მეცნიერებისაგან ადამიანთა საკეთილდღეოდ გამოგონების შემოღებაშიაც და მრავალ სხვა სასოფლო-საკეთილო საქმეში.

საკუთარს ან სხვათა საქმეში-კი ქიზიყელ გლეხს ქვა აკოდინეთ. თავისი სამაგალითო გარჯილობით და ჯომარდობით: საქართველოს ვერც ერთის კუთხის მუშა ვერ შეედრება მას შინ თუ გარედ, დღე და ღამ ლომკაცურ გარჯა-შრომაში.

მაშ დღევანდელ საერთო-საკეთილო საქმეში რაღათ არიან ქიზიყელნი ისეთი სამარცხვინო უზრუნველები და დაუდევარი გულგრილები მაშინაც-კი, როდესაც მზესავით ცხადად ჰხედავენ, რომ თავიანთი ასეთი უკუღმართი ქცევით, ჯიუტობით და გაქირობით თავისი თავის მავნე-მაზნევარნი ხდებიან? აქ მოსატანი არ არის ხალხის გაუნათლებლობა, განა ჩვენი განათლებულნი-კი დიდად თავგამოდებულნი არიან საერთო საქმეებისათვის? მოვიგონოთ იმათი ათასნაირი გულ-გრილობა და დაუდევრობა სხვა-და-სხვა საზოგადო საქმეებში.

მაშ თავდაპირველი მიზეზი რა არის, რომ საქართველოს ყველა კუთხის ხალხი თითონვე ხდება ხოლმე თავისივე მტერი, თავისივე საერთო-საკეთილო საქმის გამაუკუღმართებელი? ის, რომ ხალხს სულის ჩამდგმელი მეთაურნი—წინ მავალნი ბელადები აღარა ჰყავს (მე კაბინეთის მეთაურებზედ და მესვეურებზედ არ მოგახსენებთ).

ქვეყნად სახელ-განთქმულ, ნიჭიერ მწერალთაგან ნაამბობი ისტორია კაცობრიობის ზნე-ყოფა-ცხოვრებისა მზესავით ნათლად მოგვითხრობს, რომ ქვის საუკუნოებიდამ დაწყებული დღევანდლამდე მთელის ქვეყნიერობის ყველა საზოგადო საქმეთა სულის ჩამდგმელნი ყოფილან მეთაურები და უიმათოდ არა გაკეთებულა-რა სახეირო ბრბოსაგან, რომელიც ყოველთვის და ყველგან გზა-კვალარეულია საერთო საქმეებში ბაბილონის გოდოლის ამშენებელ ბრბოსავით და ხშირად ერთი ალთას მიიწევს ხოლმე და მეორე ბალთას უთაოსნოდ. ან-კი „უთაოდ" სად რა კეთდება რიგიანად, თვით კერძო საქმეშიც-კი? ისეთივე საბრალისია ხალხი უმეთაუროდ, როგორც უმწყემსო ცხვარი, უსარდლო ჯარი და უპატრონო მკვდარი. ვინა მეთაურობენ დღევანდელ სოფლის ხალხს? არა ხალხის გულ-შემატკივარი და მცველ-მფარველი ერობა (ЗЕМСТВО), რომელსაც არ იქნა, ჩვენი ქვეყანა ვერ ეღირსა ცილ-ბოროტების მოტიტინე მავნე-მაცდურების მიზეზით და ჩვენი უგამჭრიახო მეთაურების თავგამოუდებლობის გამო.

„ერთი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქნელიაო", რვა ასის წლის წინად იწინასწარმეტყველა ჩვენმა ბრწყინვალე პოეტმა გენიოსმა. და მართლაც, როგორ და საიდამ აჯობებდა ერთი ბური ათასს ინგლისელს, თუ არა ჰყოლოდა „გამორჩევით მქნელი" მეთაურები? აბა, ჩვენს ტფილელ ამომრჩევლებსაც „გამორჩევით მქნელი" მეთაურები და მესვეურები ჰყოლოდა„ „ბრძოლის ველისაკენ" წარმტაცებელ მთავარ-სარდლებათ, წინმავალ ბელადებათ და მაშინ ენახავდით წუნკალა აწუხელების ლიჯნარიან ბარდებში ძვრენას!

დიაღ, კაბინეთში ცარიელი ლაპარაკით და მასლაათით საერთო საქმე არ გაკეთდება. საქმეს საქმით აკეთებენ სოკრატისებურად ქვეყნად ხალხში სიარულით, მოციქულობით, ქადაგებით, მოქმედებით, წინმავალ ბელადობით, ყველას ჭერისა და კერის ნახვით, ყველას მთისა და ბარის გაცნობით, ყველას ავლადიდების და ავ-კარგის გამოძიებით, ყველას აზრისა და ფიქრის გაგებით, ყველას შნოსა და უნარის ცოდნით, ყველას მიმართულებისა და მისწრაფების კრიტიკულად განხილვით, ყველას ჭირისა და ლხინის მოსმენით, ყველას სამართლიანობისა და უსამართლობის დაკვირვებით, ყველას სიღატაკისა და ჭირ-ვარამის ჯოჯოხეთის მოხილვით, ყველას სოციალურ ზნე-ჩვეულებისა და ეკონომიურ ყოფა-მდგომარეობის შესწავლით, ყველას საზოგადო წეს-წყობილებისა და პოლიტიკურ განწყობილებათა სიავ-კარგის აწონ-დაწონვით, ყველას ცხოვრების სხვა-და-სხვა საჭიროებათა ადგილობრივის მიზეზების გამოკვლევით, ძმური ყოფა-ქცევით ყველას სულისა და გულის მონადირებით და საწინასწარ-მეტყველო ნიჭის წყალობით სუყველას აწმყო ცხოვრებიდამ ყველას მომავლის გამოცნობით და გათვალისწინებით...

არა, ხალხზე დაშორებული, ჩვენი კაბინეთის ქადაგება და მოქმედება ხალხის სულ-გულს ვერ მისწვდება და ვერ ჩაწვდება თავის თავად, უმოციქულოდ, თუნდაც რომ წესთა ბუნებისაგან მოვლენილი, მაღალ-ნიჭიერ დემოსთენ-ციცერონის უკვდავი მჭევრმეტყველების პატრონი, ცა-ქვეყნის ყოველგვარ სიბრძნე-მეცნიერების მეუფენი და ქართველთა ენა-მზიან და ენა-მდიდარ მეტყველების ლამაზ-მეტყველნი რუსთაველნი ვიყვნეთ და ყოველი ჩვენი სამახსოვრო სიტყვა მთის ვარდივით ღაღანა და დილის ცისკარივით გიზგიზა ქალამზეს მშვენიერების ძლევა-მოსილ ძლიერებასავით ჰხიბლავდეს და აჯადოებდეს კაცის გულგონებას. და აკი ამიტომაც ჩვენი სასიქადულო მწერალ-პოეტთა ძალ-მადლიანი სიტყვა საკეთილო, სახეირო და საგმირო სიტყვადვე რჩება და ობდება ერთ ალაგას, წერა-კითხვის საზოგადოება მათ ვერ ავრცელებს ხალხში და ვიღაც ოხოპენტრე გადამთიელები-კი ძალიან ადვილად ავრცელებენ სოფლებში სიარულით ხალხის გულ გონების წამრყვნელ მწერლობის საშვითან-ბაზრო აჭია-ბაჭიებს, ახპატელოვების „სიზმრის გამოცანებს" და პორნოგრაფიულ სურათებს.

ნათქვამია ძველთაგან და ბრძენთაგან: პირს პირისაგანა სცხვენიანო; თავის-თავად მიწა არ მოიხვნება და არ დაითესებაო; ადამიანს ჩიჩინი და ვირს ღიტინი უნდაო; უმწყემსოდ

აღნიშნავს იმ დიდ მნიშვნელობას, რომელიც შესაძლოა აღმოუჩინოს კანონმდებლობამ კოოპერატიულ საზოგადოებათა წინმსვლელობის საქმეს. ბელგიაში ამ ჟამად კოოპერატიულ საზოგადოებათა საქმეს აწესრიგებს 1873 წლის კანონი. კოოპერაციების განვითარების საქმეს, რასაკვირველია, გარდა კანონმდებლობისა, ხელს უწყობს საზოგადოებრივი დაწესებულებანი და კერძო კაცები, რომელთა ინიციატივით ასე ნაყოფიერად მოქმედებენ დასავლეთ ევროპაში ეს ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი დაწესებულებანი. კოოპერაციების მნიშვნელობა მჭიდროთაა დაკავშირებული სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებათა და ამხანაგობების მოქმედებასთან. ამიტომ მათი აღწერა საჭიროდ მიგვაჩნია. სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებმა დასავლეთ ევროპაში დიდი დაბრკოლებანი გამოიარა, სანამ იგინი მიიღებდნენ აწინდელ ფიზონომიას.

უძველესი ინგლისის სასოფლო სამეურნეო საზოგადოება დაარსდა მეთვრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ეს საზოგადოება პროტოტიპათ შეიქმნა დასავლეთ ევროპის სხვა ამ გვარ დაწესებულებათა, ამ დროის სამეურნეო საზოგადოებათა წევრები მსხვილი მემამულეთა, მოხელეთა სამეურნეო მეცნიერების მცოდნე კაცთაგან შესდგებოდა. პრაქტიკულ მოქმედებას ამ დროს ეს საზოგადოებანი მოკლებულნი იყვნენ. ცხოვრებამ ახალი მიმართულება მიიღო და აი 1838 წელს დაარსებულ იქმნა ინგლისის საკოროლო სამეუნეო საზოგადოება, რომელმაც თავის დანიშნულებად გაიხადა პრაქტიკის და მეცნიერების შეთანხმება. ინგლისის სამეურნეო საზოგადოების უმთავრესი მნიშვნელობა ისაა, რომ ეს საზოგადოება გამოფენების მართვას ეწევა. ეზიორანსკის სიტყვით ამ გამოფენების მართვა-გამგეობამ დიდი სამსახური გაუწია არა მარტო ინგლისის, არამედ მთელი მსოფლიო მეურნეობის განვითარების საქმეს. ამ საზოგადოებაში გულმოდგინეთ მუშაობს სპეციალი და გენერალური კომისია, რომლთა დანიშნულებაა, განახორციელონ ყველა ის ზომები, რომელიც შეეხებიან სამეურნეო საგნების სხვა-და სხვა მხარეს; საზოგადოებასთან არსებობს ქიმიკური ლაბორატორია, საცდელი მინდორი და სხვა-და-სხვა. ამ საზოგადოების მეორე დიდი მნიშვნელობა ისაა, რომ მან მჭიდრო კავშირი დაიკავა ინგლისის ყველა სამეურნეო წვრილმან საზოგადოებებთან.

საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოებაც ასე მჭიდროთაა დაკავშირებული წვრილმან სამეურნეო საზოგადოებებთან. ორი შემდეგი უმთავრესი ღვაწლი და სამსახური მიუძღვის საფრანგეთის სამეურნეო საზოგადოებას: სამეურნეო ცოდნათა გავრცელება ხალხში და მუდმივი ცდა, შუამდგომლობა მთავრობის წინაშე სამეურნეო კანონმდებლობის გასაუმჯობესებლად. ამნაირი მნიშვნელობა აქვს დანიის სამეურნეო საზოგადოებასაც.

ყველა სამეურნეო საზოგადოებაზე უფრო გვიან დაარსდა გერმანიის სამეურნეო საზოგადოება. ეს საზოგადოება მოქმედებს 1886 წლიდგან. ეს საზოგადოებაც მჭიდროთაა დაკავშირებული ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოებებთან და თავისი განყოფილებების და კანტორების საშუალებით დიდ სამსახურს უწევს ადგილობრივ მეურნეებს. უმთავრესი თვისებანი დასავლეთ ევროპის სამეურნეო საზოგადოებათა ისაა, რომ ეს საზოგადოებანი მეტს ცხოველმყოფელობის იჩენენ, ყველანი სცდილობენ, სამეურნეო ცოდნა გაავრცელონ ხალხში გაუმჯობესებულის საშუალებით. ერთი სიტყვით, ეს საზოგადოებანი მართლა რომ საქმიანობენ და ამიტომაც მათი სამოღვაწეო ასპარეზი დღითი დღე ნაყოფიერების გზას ადგია, ამ საზოგადოებების მნიშვნელობა არ იქმნებოდა ასე ნაყოფიერი, რომ პროვინციებში ასე მრავლად არ არსებობდეს ადგილობრივი სარაიონო საზოგადოებანი, სინდიკატები, ან კოოპერაციები. კოოპერაციები შედარებით უფრო გვიან დაარსდენ. ამ კოოპერაციებს უმთავრესად პრაქტიკული მოქმედების ხასიათი აქვთ. ამგვარ კოოპერაციებს აარსებენ წვრილმანი მემამულეები და აზრად აქვთ საერთო ძალით ემსახურონ ამა თუ იმ რაიონის თვალსაჩინო მეურნეობის დარგს. არც ერთი მეურნეობის დარგი არ მოიპოვება, რომ ამის მიხედვით შესაფერი კოოპერაციაც არ არსებობდეს. საკრედიტო კოოპერაციები განსაკუთრებით განვითარებულია გერმანიაში. ამ კოოპერაციებს მთავრობა დიდ დახმარებას აძლევს. ცენტრალურ კასსის სასარგებლოდ, გარდა მთავრობის დახმარებისა, იმპერატორ ვილჰელმ პირველმა ერთი მილიონი მარკა შესწირა.

გერმანიაშივე საგრძნობლად განვითარდა საელევატორო კოოპერაციები. ელევატორებს თავის ხარჯით აშენებს სახელმწიფო და შემდეგ იჯარით აძლევს სხვა-და-სხვა კოოპერაციებს.

საფრანგეთის ცხოვრებამ წარმოშობა კოოპერატიული ფედერაციები. ერთგვარი კოოპერაციები ერთდებიან, ადგენენ, ფედერაციას იმ აზრით, რომ უფრო გაიადვილონ მოქმედება. კოოპერაციების რიცხვი თან-და-თან მრავლდება, ამასთანავე შემჩნეულია, რომ სამეურნეო კოოპერაციები უფრო მრავალ რიცხოვანია, მაგალ. გერმანიაში 72%-ია სამეურნეო კოოპერაციებისა.

კოოპერაციების გამრავლებას უპირველესად ხელი შეუწყო საწევრო ფულის სიმცირემ, რომელიც 1—3 ფრანკით განისაზღვრება. ზოგიერთ შემთხვევაში საწევრო ფულს სრულიადაც არ ახდევინებენ. კოოპერაციების რიცხვი საფრანგეთში 1901 წ. 2000 აღემატებოდა, რომელთაც ერთი მილიონამდის წევრი ჰყავნდა და 100 მილიონ ფრანკს ატრიალებდა. ეზიორანსკის სიტყვით სინდიკატებმა დიდი სამსახური გაუწიეს დასავლეთ ევროპას: მათის საშუალებით მცირე მემამულე განთავისუფლდა სირეგვნისაგან, დაწესდა ადგილობრივი კოოპერაციები, ერთგულად სწარმოებს ერთი მეორის და განსაკუთრებით ღარიბის წევრების დახმარების საქმე. აი ასეთია დასავლეთ ევროპის კოოპერაციების უაღრესი მნიშვნელობა.

(დასასრული ხვალ).

ჩვენებური ამბები

მეთვალყურის შენიშვნები

(წერილი კავკავიდგან).

საზოგადო კრება კავკაველ ქართველებისა.—არჩევანი კავკავის სკოლის სამზრუნველოს ახალი წევრებისა.—შეუსაბამო აზრი საზოგადოების ერთის წევრისა.—საკვირაო სკოლის საქმე და საკვირაო საქალებო სკოლა.

წარსული ოკდომბრის თვე კავკაველ ქართველთა ცხოვრებაში აღსანიშნავია იმით, რომ ამ თვის შუა რიცხვებში იყო აქაურ ქართველების კრება. უნდა განეხილათ წარსულის 1901 წლის სკოლის შემოსავალ-გასავალი და იმავე წლის სარევიზიო კომისიის მოხსენება ხსენებულის ანგარიშის შესახებ და არჩევანი სამზრუნველოს ახალის წევრების ნაცვლად ძველი წევრებისა, რომელთაც სამი წლის ვადა უკვე გაუვიდათ ექვსი თვის წინად.

წესდების ძალით, კავკავის ქართველობა სამი წლის ვადით ირჩევს სამზრუნველოს წევრებად შვიდს კაცს; ამათზეა დამოკიდებული საზოგადო ზრუნვა, სახსარის მოპოვება და ნივთიერის მხრივ ქართული სკოლის მართვა-გამგეობა. რასაკვირველია, ამ ფრიად საჭირო საკითხის გადაწყვეტაშიც და სამზრუნველოს წევრების არჩევაში ყოველს კეთილშობილ ქართველს უნდა აინტერესებდეს მხოლოდ ერთად ერთი საზოგადო საქმე და არა პირადი ინტერესები, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საზოგადოდ ღრმად გაუდგამს ფესვები ჩვენს საზოგადო ცხოვრებაში და ეს პირადობა, საკუთარის უსაბუთო და უკანონო აზრის გატარება, რასაკვირველია, მცირედ არ უშლის ხელს საზოგადო საქმეს. წინად ასე იყო შემოღებული: დაალაგებდენ თუ არა ყველა განსახილველ საქმეებს წესიერად, სამზრუნველო მოიწვევდა საზოგადო კრებას საჭირო საქმეების განსახილველად და მოსასმენად, წელს-კი ასე მოიქცნენ: მაბათ წერილები დაურიგეს გამგეობის სახელით და მეორე დღესვე კრება დანიშნეს, ასე რომ, როგორც ბევრნი ამბობდენ, ძალიან მცირე დრო ჰქონდათ მიცემული, რომ უფრო მოფიქრებით და აწონ-დაწონვით, საღი მოსაზრებით აერჩიათ კანდიდატებათ უფრო სასურველი და საქმისათვის ნაყოფის მომტანი წევრები. ასე თუ ისე, ჩვენი საზოგადოება მაინც ძალიან დაინტერესებული გამოდგა საზოგადო საქმეში და პირველს მოწოდებაზედვე შეიკრიბა სამოცამდის კაცი, რომელთაც ეტყობოდათ სასურველი ხალისი და ინტერესი საზოგადო საქმეში.

საზოგადო კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა თავ. ი. მ. ლორთქიფანიძე, პირველად მოხსენდა შემოსავალ-გასავლის ანგარიში და ამავე ანგარიშის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება; კრებაზედ აღმოჩნდა, რომ სარევიზიო კომისიის მოხსენება და სამზრუნველოს ანგარიში სამზრუნველოს წევრებს წინ-და-წინვე არ განეხილათ: ამის გამო ანგარიშსა და მოხსენებას შორის განსხვავება აღმოჩნდა, რომლის განმარტება ვერ შეიძლეს ვერც სამზრუნველოს წევრებმა და ვერც სარევიზიო კომისიის წევრებმა; კრებამ ამ საკითხის შესახებ დაადგინა: ანგარიშები ხელახლად განეხილოს სამზრუნველოს სარევიზიო კომისიის მოხსენებასთან შედარებით და შემდეგში ყოველთვის სარევიზიო კომისიის აზრი და თავისი ანგარიში სამზრუნველომ წინდაწინვე განიხილოს და შემდეგ წარუდგინოს საზოგადო კრებას მოსასმენად და განსახილველად. სამწუხაროდ, უნდა შევნიშნოთ, რომ უმეტესს რიცხვს სამზრუნველოს წევრებისას სრულად არ ჰქონდა ცხადი წარმოდგენა იმ ანგარიშის შესახებ, რომელიც სამზრუნველოს თავმჯდომარემ წარუდგინა საზოგადო კრებას განსახილველად, ამიტომ, ჩვენ გვგონია, მეტი არ იქნებოდა, რომ, ვიდრე საზოგადო კრებას დანიშნავდა, სამზრუნველოს თავმჯდომარეს მოეწვია კომიტეტის წევრები და გაეცნოთ მათთვის, როგორც ანგარიში, აგრეთვე ყველა საქმეები, რომელიც უნდა წარედგინათ კრებისათვის განსახილველად.

საზოგადო კრებაზედ არავის ყურადღება არ მიუქცევია ერთის გარემოებისათვის, რომელიც, ჩვენის აზრით, ღირსია ყურადღებისა და რომელიც ეხება კანცელიარულს საქმეს: კრებაზედ წარმოდგენილი ანგარიშები სამზრუნველოსი ბევრ ადგილას შესწორებულ-შემოსწორებული იყო, არც სარევიზიო კომისიის მოხსენებაზედ და არც სამზრუნველოს ანგარიშზედ ხელი არავის ჰქონდა მოწერილი თითო-ოროლას გარდა; თურმე არც სამზრუნველოს დადგენილებებს აწერენ ხელს სამზრუნველო კომიტეტის წევრები და ამიტომ ერთის და იმავე დადგენილების შესახებ ბევრჯელ კომიტეტის წევრთა შორის უთანხმოებაც მომხდარა. ყველა ეს ფორმალისტობააო, იტყვიან არა-წესიერების მოყვარე ვაჟბატონები, რომელთაც წესიერებაში შნო არ აქვსთ და ამის გამო საქმეებიც ირევა, მაგრამ, რაც უნდა სთქვან, ჩვენ მაინც აუცილებელ საჭიროდ მიგვაჩნია ყოველ საზოგადო საქმეში სასტიკის წესიერების დაცვა, სანიმდვილე, რომლის მიხედვითაც უნდა იქმნას შედგენილი და წარმოებული ყოველი საზოგადო საქმე. გერმანელების სიფაქიზე და სასურველი წესიერების დაცვა ყოველს საქმეში ყოველგან სამაგალითოდ არის აღიარებული და ჩვენ-კი ხშირად, ისევ ჩვენებურად ქართველურად ვაკეთებთ საზოგადო საქმეებსაც-კი და თუ რამე გაფუჭდა „რა გვენაღვლებას“ გავიძახით.

ანგარიშების მოსმენისა და დამტკიცების შემდეგ საზოგადო კრება შეუდგა კენჭის ყრით სამზრუნველოს ახალი წევრების არჩევას, ამასთან უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ წარსულს წლებში სამზრუნველოს წევრთა ერთის მხრით და თავმჯდომარეს შორის მეორეს მხრით ხშირად ხდებოდა უთანხმოება რომელიმე საკითხის გადაწყვეტაში, ამიტომ სამზრუნველოს თავმჯდომარეს ისე მიჰყავდა საქმეები, როგორც მას სურდა და საუკეთესოდ მიაჩნდა და არა ისე, როგორც უმეტესობა სწყვეტდა, ეს უთანხმოება იქამდის მივიდა, რომ ზოგიერთმა ძველ სამზრუნველოს საუკეთესო წევრმა, რომელთაც აუარებელი შრომა და ამაგი მიუძღვის საზოგადოთ აქაურს საქმეებში და კერძოთ სკოლის ბედნიერებაში, სამზრუნველოს წევრობაზედ კატეგორიული უარი განაცხადეს. სამაგიეროდ კენჭი იყარეს ასეთებმა, რომელთაც ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებიათ, მაგრამ ბევრს რასმე გვპირდებიან და ვნახოთ როგორ შეასრულებენ ჩვენი ბრძენი მეფის ანდერძს:

„სჯობს არ ქადება არასი
ქადებულს მიუცემლობა“.

ახლად არჩეულმა სამზრუნველოს წევრებმა თავმჯდომარედ აირჩიეს ისევ ძველი თავმჯდომარე. ბევრი კეთილ მოაზრე და საქმის მცოდნე ადამიანი იმ აზრისა იყო და არი დღესაც, რომ ორის სხვა-და სხვა თანამდებობის შეერთება საქმის კეთილ-ნაყოფიერებისათვის მავნებელიაო. ხელმძღვანელობდნენ ამ მოსაზრებით ახალნი წევრნი სამზრუნველოსი, თუ არა, ჩვენ, რასაკვირველია, არ ვიცით; ვიცით მხოლოდ ის, რომ თავმჯდომარის თანამდებობაზედ კენჭი უყრიათ ერთის ფ-დ პატივცემულის წევრისათვისაც, ამ უკანასკნელის დაუკითხავად და შვიდს ხმაში მხოლოდ ორი ურგუნებიათ მისთვის, დანარჩენი ხუთი ხმა-კი რგებია ისევ ძველს თავმჯდომარეს. მეთვალყურის მიერ უყურადღებოთ არ უნდა დარჩეს ერთი გარემოებაც, რომელიც, ცოტათ თუ ბევრად, ახასიათებს ზოგიერთს ჩვენებურს კაცს. სამზრუნველოს წევრობაზედ წინადაც ბევრჯელ და წელსაც კენჭი იყარა საზოგადოების ერთმა დამსახურებულმა წევრმა, რომელიც, სამწუხაროთ, ვერასდეს ვერ მომხვდარა წევრთა სიაში. წელს თავ-დაპირველად, მართალია, უარი განაცხადა კენჭის ყრაზედ, მაგრამ ყველა ადვილად შეატყობდა, რომ იმ უარში თანხმობაც იხატებოდა, რადგანაც არც ისეთი კატეგორიული უარი განუცხადებია, როგორც, სხვებმა ჰქმნეს: ბოლოს, როდესაც ერთმა შავმა კენჭმა უმუხთლა და ვერ მოჰყვა წევრთა სიაში, გაბრაზებულმა „უნაგირს დაუწყო მტვრევა“. ამხედრდა მასწავლებლების წინააღმდეგ და უფრო-კი ერთი მისი ძველი მეგობარის მასწავლებლისა:

„დრკუთ კაცთა გული ნიადაგ
ეძებს მოყვასთა ძვირებსა,
გული მშვიდი და მდაბალი
ძრახვას არ გაიკვირვებსა“.

თავისი აზრების, ვითომდა, სიმართლეში ხსენებულმა წევრმა უკვე დაარწმუნა ერთი ახლად არჩეული სამზრუნველოს წევრთაგანი, რომელიც მხოლოდ წელს გვეწვია კავკავში, ორი კვირის წინად და რომელმაც ნამდვილი მოციქულებრივი სამსახური გაუწია მას მასწავლებლის შესახებ, ეს უკანასკნელი-კი ყველა ამაებს ისმენს და სრულიად დამშვიდებულად არხეინად გაიძახის თავის გულში;

„ნუ მრუდ მრიცხველობ, სწორ გაქვნდეს,
შენ კი შენი ანგარიში,
ავს ნუ იქმ და ავისაგან
თქმულს, ნუღარა გაქვს შიში“.

იცით, ბატონებო, სხვათა-შორის, რა ჭეშმარიტებას ქადაგებდა ხსენებული ვაჟბატონი სიტყვიერად და წერილებშიაც? სამზრუნველოს წევრების არჩევაში ხმა უნდა ჰქონდეს სრულიად უმეცარს „პადვლის“ ბიჭ-ბუჭებსაც-კი და მასწავლებლებს—არაო და ამიტომ საზოგადოების არჩევანები უკანონოა და უნდა დაირღვესო. თუ რა საღი მოსაზრებაა გატარებული ხსენებულ პირის წერილებში, ამას ყველა გულუბრყვილო ადამიანიც მიხვდება. დარწმუნებული ვართ, რომ ხსენებული ვაჟბატონი, ავტორი მოხსენებულის წერილებისა, არ ყოფილიყო განმძვინვარებული ერთს მასწავლებელზე, რომელიც მას, სამწუხაროდ, კბილის მატლად აჩენია, კრების უკანონო არჩევნების შესახებ უფრო სადს მოსაზრებას წარმოადგენდა, მაგრამ

ღვარძლის მთესველი ვერ მომკის
იფქლსა ბასრისა ცელითა,
ანწლი არ მოგცემს ყურძენსა
ეს არაკი მაქვს ძველითა“.

სიამოვნებით უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ აქაურმა შეგნებულმა ქართველმა ინტელიგენციამ წელს სერიოზულად მოჰკიდა ხელი საკვირაო

ცხვარი არ გამოდგება და უმოციქულოდ ხალხი არ მორჯულდებაო. ასეთი არის და ყოფილა საზოგადოდ ადამიანის ბუნება ქვეყნის დასაბამიდგანვე და, აბა, მოდი, რას იზამთ? ამისი უტყუარად დამამტკიცებელი მაგალითიც თვალ-წინ გვიძევს: როგორ მოაღწევდა ჩვენამდის ქრისტეს დიდებული სწავლა-მოძღვრება, სასიკეთოდ თავ-გამოდებული, წმინდა ნინო, ანდრია მოციქული, სვიმონ ქანანელი და სხვანი წმინდა მამანი რომ არა ყოფილიყვნენ? აგერ ორი ათასის წლის შემდეგ, დღესაც-კი უმოციქულოდ (უმისიონეროდ) მაცხოვრის ღვთიური სწავლა-ცოდნაც-კი არა ვრცელდება გულ-გონება ჩაკეტილს ქვეყანაზედ!

—

ყველა ამის შემდეგ ცხადზედ-უცხადესია, რომ ჩვენი ყველაში თავ-შეუდებელი ქიზიყელებიც მეორედ მოსვლამდისაც არ მოიწადინებენ თავის-თავად სეტყვის გამქარწყლებელ ზარბაზნების სყიდვას, თუ საამისოდ ჭკვაზედ მომყვანი „მოციქულები“ არ გამოუჩნდნენ საჩიჩინებლად, და როდესაც დარწმუნდებიან, რომ მართლაც დიდად სახეირონი და საკეთილონი ყოფილან ხსენებული ზარბაზნები, მაშინ-კი, მოგეცათ ღვთის წყალობა, ისინი „აი დიდება შენდა უფალო“-ს ძახილით ზარბაზნებს კიდევ სხვა ზარბაზნებსაც მიუმატებენ ოთხსავე კუთხივ ძლიერი ბათქა-ბუთქის ატეხით „სეტყვის უთვალავ ჯარ-ლაშქართა“ გასანიორწყლებლად.

ვენახების წამლობის მომგონთა მლანძღავმაგინებელნი დარწმუნდნენ ვაზის აქიმობის სიკეთეში და ისინიც-კი სწამლობენ დღეს ვენახებს. დარწმუნდნენ რკინის გუთნების სიკარგეშიაც—და ყველამ რკინის გუთნები შეიძინა. დარწმუნდნენ რკინა-გადაკრულ ურმის თვლების სიმარჯვე-სიმკვიდრეშიაც—და დღეს ყველანი, მდიდარნიც დ ღარიბნიც, „დარკინულ“ ურმებს დაარაკრაკებენ. ამ ოცის წლის წინად-კი სიზმარშიაც ვერა ჰნახავდა ქიზიყელი გლეხი ვერც ვენახის წამლობას, გუთნებს, ვერც დარკინულ თვლებს ურმისას და ვერც მრავალ სხვას, რაც-კი ღვთისგან კურთხეულ მეცნიერების ნაყოფიდამ ქიზიყელმა ტეტიამაც ტკბილად იწვნია და იგემა ადამ და ევას დროინდელი სამეურნეო-სამრეწველო იარაღებისა და საოჯახო ავეჯეულობა-ნივთების ნელ-ნელა მოსპობით.

და ვინ იცის, იქნება პანტის ზარბაზნის მომგონ ქიზიყელ ელიბოს ჩამომავლობამ ერთ დროს იქამდისაც მიაღწიოს, რომ არა თუ სხვათა საკეთილო გამოგონებას უარსა ჰყოფდეს, არამედ თავისი მეცნიერულის გამოგონებითაც-კი ქვეყანას აოცებდეს, და არც საკვირველია: წინანი უკან, უკანანი წინო. ამას გვიმტკიცებს უკან ჩამორჩენილ საბერძნეთისა და რომის წარსული და დაკარგული დიდება და დღეს სხვა დაწინაურებულ სახელმწიფოების ათასნაირად აღყვავება და გაძლიერება.

მაგრამ ჩვენ რომ იმ სანეტარო დროს ველოდოთ, „მანამ პეტრე მოვიდა, პავლეს ტყავი გააძრესო“ გამოვა. და დღეს-კი ზარბაზნებით ბრძოლა სეტყვასთან ზოგს სიცილადაც არა ჰყოფნის: „საგიჟეთის გიჟი ყოფილა მაგისი თავდაპირველად მთქმელიო, ღმერთთან ზარბაზნებით ომი ვის გაუგონიაო, ან რა ჭკვაში მოსასვლელია, რომ ზარბაზნებით სეტყვა შევაშინოთო, გველაშაპი ხო არ არი, დაჭერილი მთვარე პირიდამ გავაგდებინოთ თოფების ქახა-ქუხითო და სხვანი. ბევრნაირად უხსნით: მაგრე-კი არა, ძამიავ, აი ასეაო, მაგრამ კედელზე ცერცვის შეყრა გამოდის, არა, გლეხ-კაცი რომელსამე ახალ საქმეს მხოლოდ საქმის ნახვით და მისის სიკეთის გემოს გაღებით დაგიჯერებთ. მოვიყვანოთ ის დრო, როდესაც რუსის მთავრობა კართოფილის თესვის შემოღებას აპირებდა პირველად რუსეთში და მთელი გლეხობა რუსეთისა აბობოქრდა და კალხზე შედგა: „აბა, ძაღლს მიუგდეთ, ძაღლიც-კი არა ჰჭამს მა რაღაცა ვერანა ქაჯის მოგონილ კართოფილს და ჩვენ რაღა ეშმაკათ გვინდაო!..“ მაგრამ ბოლოს დარწმუნდა ხალხი კართოფილის სიკეთეში, და დღეს პირველი საჭმელი და საიმედო სარჩო-საბადებელი რუსებისა „კარტოშკაა“, როგორც ვიცით.

მაშასადამე, ახლა საქმე ის არის, ვინ გამოუჩნდება ქიზიყს კეთილის-მყოფელად: ქვეყნის მეურნეობა-მრეწველობის გასაძლიერებლად ჯერ-ჯერობით სიტყვით განმზადებული მთავრობა თუ საქმით აღჭურვილი ვინმე კერძო კაცი, რომ ეს ხალხის ათას გვარი ჭირვარამიდამ მხსნელი საქმე დააჯეროს ხალხს, ესე იგი, იყიდოს სეტყვის გამქარწყლებელი ზარბაზნები თავის ფულით და მედგრად მებრძოლ გოლიათებივით შემოუმწკრივოს გარშემო ერთად თავ-მოყრილ ვენახებს, ჯეჯილებს, თამბაქოს პლანტაციებს, ხილნარებს და ბაღეულობა-ბოსტნეულობას.

ასე ერთად თავ-მოყრილ მცენარეებით აღსავსეა ქვემო-ქიზიყის მთა-გრეხილის კალთების დიდი და ვრცელი ტაფობი (ტაფასავით შემოგრგვალებული ვაკე), ეს ტაფობი მოაჯირზედ კოხტად გადმომდგარ, ნაზი და ტურფა ქალაიასავით გადაჰყურებს ბჭყვრიალა ვერცხლის სირმასავით შორით შორამდე გაჭიმულ ალაზანს, მზის სხივებით გულსაამებლად ალაპლაპებულს. გადაჰყურებს ალაზნის მწვანე ხავერდის დიდებულ ველ-მინდვრებს, ჭალატყიანს და დაღესტნის ცას წვერ-მიბჯენილ მთა-ბუმბერაზებს რომელთა წლითი-წლობამდე სპეტაკი თოვლ-ყინულით თეთრად გალაღლაღებული მწვერვალები ისე თვალ-გულ-წარმტაცად ბზინვარებენ და იალციალებენ ზურმუხტის კამკამა ცაში ჩამავალ მზის მოელვარე და მოკაშკაშე შუქ-ნათელით გაჩირაღდნებულები ვარდის ფერად და ნარგიზ ფერად რომ იმაზე საუცხოვო—დიდებულ სურათს ძნელადა ჰნახავს ადამიანის თვალი.

ხსენებულ მთა-გრეხილის კალთების ფართო ტაფობზედ დიდძალი და დიდად სანაქებო კახურ ღვინის მომცემი ვენახებია: ქვემო-მაჩხაანისა (ხირსისა), ჯუგაანისა, ტიბაანისა, პრასიანისა, ბოდბის ხევისა, ფანიაანისა და ზემო-მაჩხაანისა. ამ შვიდის უზარმაზარ სოფლის ვენახები იქმნება 1,200 დესეტინამდის და კომლთა რიცხვი ოთხი ათასზედ მეტი, რომელთაც ხსენებულ ვენახებთან ერთად შიგდა-შიგ სახნავ მიწებზედ დიდძალი თამბაქოს პლანტაციები, ყანები, ხეხილები და ბაღ-ბოსტნეულობაცა აქვთ. ჯერ მარტო სოფ. ჯუგაანი ხსენებულ ტაფობზედ წელიწადში ოთხას დღიურ მიწასა ჰხნავს სათამბაქოდ. დღიურზედ 40 ფუთი თამბაქო მოდის საშუალო რიცხვით და ფუთი ღირს 7 მ. საშუალოდვე.

ოთხი ათასმა კომლმა რომ წელიწადში ექვსი ათასი (6000) მანეთი გამოიღოს ვენახისა, თამბაქოსი და სხვა ჭირნახულის რაოდენობის დაკვალად, მგონია, თუ არა ვცდები, საკმარისი იქნებოდა ექვს თვეს (აპრილიდამ ოქტომბრამდე) ზარბაზნების ფანჩატურების ყველა ხარჯის დასაფარავად და ზარბაზნებში დაბანდებულ ფულის პროცენტებად. ყველანი სიამოვნებითაც გამოიღებდნენ ფულს თავის ჭირნახულის რაოდენობის დაკვალად, დამღუპავ სეტყვის თავიდამ ასაცილებლად, თუკი გამოუჩნდებოდათ ვინმე მადლიანი და ფულიანი მეთაური, რომელიც იკისრებდა თავის ფულით ზარბაზნების სყიდვას, დადგმას და საქმის გაჩიხრიხებას.

რაღა თქმა უნდა, ქიზიყელებისათვის ასეთი საშვილიშვილოდ სამახსოვრო სიკეთე-მადლის დამთესი გადაწყვეტილ სარგებელს აიღებდა დაბანდებულ ფულისას, და ბოლოს სოფლებივე გამოისყიდვიდნენ ზარბაზნებს რომელისამე სასოფლო შემოსავლით ან კომლეურად გაწერილ ფულით და ინ დღეს უქმადგანსვენებულ „სამეურნეო თანხით“, სადაც ზოგიერთ სოფელს ათას თუმანზედაც მეტი აქვს საკუთრება; იქიდან, აგერ თორმეტი წელიწადია, ცალი გროშის სარგებლობასაც ვერა ჰხედავს გლეხი და არ ვიცით-კი, როდის ეღირსება ხალხს, რომ „სამეურნეო თანხა“ მართლაც მეურნეობის გასაუმჯობესებლად გამოადგეს, როდესაც ეს ასე მოჰხდება, მაშინ სოფლელნი დღევანდელ საყვედურს პურის მაღაზიების მომგონთა მიმართ ლოცვა-კურთხევაზედ შესცვლიან, „სულის პურსაც გაულაპარაკებლივ გამოიღებენ და ასცდება ხალხს ათასნაირი რბევაც სოფლიჭამია ბობოლებისაგან. მთელ ქიზიყს ორას ათას (200,000) მანეთზედ მეტი აქვს დღეს „სამეურნეო თანხა“ და მთელის ტფილისის გუბერნიისა—ორ მილიონ მანეთს აღემატება. **კარგს ინებებდნენ გუბერნიის სამეურნეო-სამრეწველო კომიტეტები, რომ ეს დიდის ხნის დაარსებული „სამეურნეო თანხაც“ ადრე და მალე დააყენონ საკეთილო და სახეირო გზაზედ.**

ქიზიყელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლის საქმეს. ამას წინად მოუხდენია კრება და თათბირი სკოლის მოწყობის შესახებ. სამწუხაროდ, იმ კრებაზედ არ მოუწვევიათ ერთი ჩემი კარგი მეგობარი, რომელსაც პირველად ვითომდა ექსპრია უყვეს, მაგრამ ბოლოს უბრალო „აშიბკა" გამოდგა, როდესაც ჩემმა მეგობარმა პროტესტი განაცხადა. ამ კრებაზე დაუდგენიათ, მოაწყონ სკოლაში ჯგუფობით სწავლება და გაჰყონ მოწაფეები სამ ჯგუფად; ეს რომ გავიგეთ, ჩვენ უნებლიეთ მოგვაგონდა ქართული ანდაზა: „ეშმაკები ტივებს აღბობდნენ და ღვინო არსად იყოო". თავდაპირველად, ჩვენის აზრით, უნდა დაერიგებინათ განცხადებები იმის ჩვენებით, თუ რა სწავლის შეძენა შეუძლიათ საკვირაო სკოლაში, განცხადებების დარიგებით ოჯახებში, მაღაზიებში, სარდაფებში და სახელოსნოებში დანიშნულს დროს შეეკრიფებოდნენ მოწაფეები ერთს დღეს, რამდენიმე მაინც, რომლიდგანაც შეიძლებოდა სამს ჯგუფზე მეტის შედგენაც და შემდეგ დაეწყოთ სწავლება.

ამ დღეებშივე გადაუწყვეტიათ: დაარსონ საკვირაო სკოლა ქალებისთვისაც. ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია და ჩვენც, როგორც ჩვენი ცხოვრების მეთვალყურე, სიკეთისა და წარმატების მუდმივი მოსურნე სულით გულით ვსურვებთ ორთავე საკვირაო სკოლებს სრულს წარმატებას, რომ არ გამართლებულიყოს ქართული ანდაზა: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერსო".

კახაბერი

კავკასია

ელისავეტპოლი. დიდიხანია მთავრობამ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ყოველ საშუალო სასწავლებელთან ეკკლესია ყოფილიყო და ყოველ შემთხვევაში ცდილობდა, თუ შესაძლებელი იყო ეკკლესიისათვის ცალკე შენობაც აეგოთ და არა ისე, როგორც ეხლა ზოგიერთა სასწავლებელშია, რომ სასწავლებლის რომელიმე ფართო ოთახი ამ საჭიროებისათვის არის მომართული. ელისავეტპოლის კლასიკურ გიმნაზიას არა ჰქონდა დღემდე საკუთარი ეკკლესია და ძლივ-ძლივობით ეღირსა ახლა: მომავალ კვირას აქ აკურთხებენ გიმნაზიის ეკკლესიას; კურთხევაზედ მიწვეულნი არიან ელიზავეტპოლის გუბერნატორი და ყველა დაწესებულებათა წარმომადგენელნი; ამავე დღეს დანიშნულია გიმნაზიის წლიური აქტი.

—

თუ რამდენი ნავთი დაუმზადებია თვითეულს სახელმწიფოს 1901 წ. ამას გვიჩვენებს შემდეგი ცხრილი.

	1900 წ.	1901 წ.
რუსეთი —	75,779,415,	85,168,535
შეერ. შტატები—	63,620,529,	69,389,195
გალიცია —	2,346,505,	3,372,340
სუმატ.-იავა, ბორნეო	1,967,700,	3,349,380
რუმინია— —	1,628,535,	1,602,650
ინდოეთი —	1,078,264,	1,185,000
კანადა — —	692,650,	704,870
იაპონია— —	490,220,	548,200
გერმანია— —	358,295,	313,638
პერუ — —	102,970,	74,600
იტალია— —	12,102,	10,100
სულ:	148,077,185,	165,718,520

—

ამიერ კავკასიის რკინის გზას საერთო შემოსავალი 1900 წ. ჰქონია—26,621,302 მ. თვითეულს ვერსზე მოდის—20,092 მ. გასავალი—13,832,109 მ. თვითეულს ვერსზე—10,439 მ. წმინდა შემოსავალი პასაჟირთაგან—1,202,586 მ. საქონლის გადატან-გადმოტანიდგან—11,586.607 მ. თვითეულს ვერსზე მოდის—9,653 მ. ყოველს ხარჯს გარეშე ხაზინას დარჩენია—5,357,501 მ.

—

ამიერ-კავკასიის რკინის გზის კონტროლიორის გედევანიშვილის და კონდუქტორ სტურუას მკვლელები, როგორც ჩვენს გაზეთში იყო ნათქვამი, არიან მალაკნები: ვასილ კალომინი, მისი ძმისწული ივანე ლიუბიმოვი და სვიმონ ჩერნიკოვი. როგორც აღმოჩნდა, მათ მატარებლის პირველ კლასის ყველა პასაჟირის მოკვლა და გაძარცვა განეზრახავთ. აუღიათ პირველ კლასის ბილეთები და შესაფერადაც გამოწყობილან. პირველად მოჰკლეს კონდუქტორი სტურუა, წაართვეს გასაღები და ვაგონის კარები დაჰკეტეს. პირველად მოხვდათ გედევანიშვილის კუპე. ჯერ ფული მოსთხოვეს, მაგრამ უარი მიიღეს. მაშინვე სასიკვდილოდ დასჭრეს. რაკი ხმაურობა ატყდა ვაგონში და შემდეგის ბოროტ-მოქმედების შესრულება შეუძლებელი შეიქმნა, ვესტინგაუზის მანქანებით გააჩერეს მატარებელი და მიეფარნენ კლდეს.

მკვლელები პირველად უარს ჰყოფდნენ თავიანთ დანაშაულობას, მაგრამ ბოლოს მაინც გამოტყდნენ და კალომინსაც, რომელიც უარზე იდგა, ურჩიეს გამოტეხილიყო. საქმე სამხედრო სასამართლოს გარდაეცემა.

გამოძიება სწარმოებდა პროკურორის ამხანაგის სტრუვეს თანდასწრებით.

რუსეთი

რადგანაც საფოსტო კორესპონდენცია ძლიერ ვითარდება რუსეთში, ამის გამო უმთავრესს საფოსტო მთავრობას გარდაუწყვეტია მომავალ წლისთვის დაამზადოს 1 კაპ. მარკა—46 მილიონი, 2 კაპ.—52 მილიონი, 3 კ. 39 მილ., 4 კაპ.—7,5 მილ., 5 კაპ.—17,5 მილ., 7 კაპ.—196 მილ., 10 კაპ.—18 მილ. 14 კაპ.—13 მილ., 20 კაპ.—$4^{1}/_{2}$ მილ. და 35 კაპ.—0,5 მილ.

— პეტერბურგის იურიდიულს საზოგადოებას გარდაუწყვეტია შეჰკრიბოს ცნობანი გლეხთა საადათო უფლების შესახებ. მან დაუგზავნა ამ საქმისათვის განსაკუთრებული ლეონტიევის მიერ შედგენილი პროგრამა სხვა-და-სხვა იურიდიულ საზოგადოებას.

— გზათა სამინისტროს გადაუწყვეტია მომავლის წლიდგან დაარსოს ათი სატეხნიკო სასწავლებელი რუსეთის სხვა-და-სხვა მხარეში.

— როგორც ნაანგარიშევია, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო დაწესებულებათაგან ხაზინას 57,5 მილიონი მანეთი მოგება დარჩებაო.

— როგორც „Новости"-ს კორესპონდენტი იუწყება, რუსეთის რკინის გზის სადგურებზე 39,000 ვაგონი პური სძევს უმოძრაოდ, ე. ი. 4,000,000 ფუთი.

უცხოეთი

მაკედონია. სალონიკიდან სწერენ „Mauvement Macedonien"-ს, თუმცა მეამბოხეთა ერთი ნაწილი სძრახავს ცონჩევისაგან ადრე დაწყებულ მოძრაობას, მაინც ერთგულად უჭერენ მხარს საერთო საქმეს; ისინი თანდათანა მძნევდებიან; ოსმალთა ჯარის მომატება მაკედონიაში მათ სრულიად არ აშინებს. საწინააღმდეგოდ აღმოხეთქილი გრძნობა იმდენად ძლიერია, რომ ტიშკვინის ოლქში მცხოვრებლებმაც, რომლებსაც იარაღი სრულიად ჩამორთმეული აქვთ, მიჰმართეს სალონიკის ვალის მუქარით და უთხრეს: თუ ოსმალთა ჯარი, ბაშიბუზუკები და ადგილობრივი მუსულმანები ძალმომრეობას არ შესწყვეტენ, იძულებულნი გავხდებით მეამბოხეთ შევუერთდეთო.

— სალონიკის ვილაიეტში მდებარე ვედენიდგან სწერენ ამავე გაზეთს: ორი როტა ოსმალთა ჯარის კაცებისა თავს წააწყდა მეამბოხეთა რაზმს სოფ. სბორსკოსთან და თოფი დაუშინა. მეამბოხეებმაც მითივე უპასუხეს. ოსმალებმა არ იცოდნენ მეამბოხეთა რაოდენობა და იერიშის მიტანა ვერ გაჰბედეს. მეამბოხენი ჩასაფრებულები იყვნენ მკვიდრ სანგლებში და მუსრს ავლებდნენ ტრიალ მინდორზედ მდგომ ოსმალებს. მეამბოხეებმა მოუკლეს მათ ას კაცამდე. ამ დროს ოსმალებს მოეშველა მთელი ბატალიონი. მეამბოხენი იბრძოდნენ გმირულად, მაგრამ სძლია სიმრავლემ: მათ დასტოვეს ბრძოლის ველზედ მხოლოდ 30 მოკლული, დაჭრილები-კი თან გაიტაცეს. გამძვინვარებული ოსმალები დაესხნენ მშვიდ მცხოვრებთ სბორსკსა, ბიარსკოს, პახოვოსა და სხ. და საშინელი ხოცვა-ჟლეტა ასტეხეს. 12 მღვდელი ასე აწამეს: ყველას დასთხარეს თვალები, მერე დაუშინეს თოფის კონდახები და აიძულეს ეთამაშნათ და ეგალობნათ საეკკლესიო ლოცვები.

ბულგარია. კიურტენდილიდგან გაზეთ „Вечерняя Почта"-ს სწერენ: მაკედონიიდგან გამოქცეულებმა, რიცხვით 80-მდე კაცმა და ქალმა, შეიტყეს თუ არა, რუსეთის ვიცე-კონსული ფილიპპოპოლისა კიუსტენდილში მოვიდაო, მისცვივდნენ „Балканскій полуостровъ"-ის სასტუმროში, სადაც კონსული ჩამომხდარიყო. მათ ჰსურდათ აეწერათ კონსულისათვის პირადად თავიანთი მდგომარეობა, მაგრამ კონსულმა იგინი არ მიიღო. კონსულმა სხვის პირით გადასცა მათ: თუ გინდათ საჩივრით რუსეთის წარმომადგენელს მიჰმართოთ, წადით სოფიის და რუსეთის სადიპლომატო სააგენტოში გამოცხადდითო.

კორესპონდენტის სიტყვით, ფილიპპოპოლის კონსულმა იმიტომ არ მიიღო მაკედონიიდგან გამოქცეულნი, რომ ეშინოდა არ დამწამონ ვითომ იმიტომ დავდიოდე ქალაქით-ქალაქად, რომ ხალხი ავაღელვოვო.

— იგივე კორესპონდენტი იუწყება: ფილიპპოპოლის რუსეთის ვიცე-კონსული გაემგზავრა დუბნიცსა, კოჩარინოვოს და სხვა მაკედონიის მოსაზღვრე სოფლებში მაკედონიის მოძრაობის შესახებ ცნობების შესაკრებადო.

— ბულგარიის გაზეთები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ სტამბოლიდან გავრცელებულ ხმებს, ვითომც ხონთქარს გადაეწყვიტოს მაკედონიის ავტონომიურ პროვინციად გადაქცევა და დანიშვნა მის გენერალ-გუბერნატორად ბულგარიის მინისტრად ნამყოფს პეტკო კარაველოვისა.

ნარკვევი

დანტონმა სთქვა: მტრებს რომ გსძლიოთ, უნდა გქონდეს გაბედულობა, კიდევ გაბედულობა, ყოველთვის და ყოველგან გაბედულობაო. დღეს მთელი რუსეთი, როგორც საზოგადოება, ისე მწერლობა, როგორც ოფიციალური პრესა, ისე არა ოფიციალური, ყველა ერთხმად გაიძახის: რუსეთის ხალხის კულტურულად და ეკონომიურად გამობრუნებისათვის საჭიროა ყველა ადიარებს, თვით კონსერვატორ-რეაქციონერი „Гражданинъ"-იც-კი, აი რას ამბობს რიაზანის საერობო გამგეობის თავმჯდომარე ელაგინი:

> „სოფელში მიმქრალია ყოველ-გვარი ინიციატივა და თვით მოქმედება. იქ გამეფებულია სრული უმოძრაობა, გონებრივი სიჩლუნგე". წარმოსდგება ყველაფერი ეს საგლეხო უფლების განსაკუთრებულ მდგომარეობიდგან. „ოპეკუნი" ჰყავს გლეხის პიროვნებას, „ოპეკუნი" ჰყავს მის მოქმედებასაც. მისი აზროვნებაც-კი სასტიკს ოპეკის გავლენის ქვეშაა. სანამ არ შეიცვლება გლეხის ამგვარი ყოფა, მანამდე მეტია სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებაზედ იფიქროს კაცმაო."

„Биржев. Вѣд."-ი დასძენს ამას:

> ფართო სახალხო განათლება, გლეხისა და სხვა წოდებათა უფლების გათანასწორება, ზედ მეტის ოპეკის მოსპობა, პიროვნების ხელ-შეუხებლობა, წასვლა-მოსვლის თავისუფლება, „როზგის" აღმოფხვრა, ერთის სიტყვით თავიდგან აშორება ყველაფრის იმისა, რაიც ხელს უშლის და აბრკოლებს ხალხის და მის თვით-მოქმედების განვითარებას,—აი რა უნდა იყოს დღეს პირველი საზრუნავი".

სასამართლო

გუშინ 7 ნოემბერს, ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩა საქმე თავ. კონსტანტინე გიორგის ძე დადიანისა და თავად გვანჯი ალექსის ძე ჩიქოვანისა, რომელთაც ბრალდებათ ციმბირიდან გამოქცეულის ავაზაკის გვიდი ემუხვარის დაფარვა. ეს საქმე დაბა ზუგდიდში გაარჩია ქუთაისის ოლქის სასამართლოს სესიამ ამა მდგომარე წლის 8 ივნისს, ორივე ბრალდებული დამნაშავედ იცნო ოლქის სასამართლომ, ორივეს ჩამოართვა ყოველივე ღირსება და თავ. კონსტანტინე დადიანს მიუსაჯა ექვსი წლის კატორღა, ხოლო გვანჯი ჩიქოვანს ოთხის წლისა.

პალატაში თავმჯდომარეობდა ბ-ნი ფრანცოვი; წევრებად იყვნენ დეპი და სომოკი. ამტყუნებდა ბრალმდებლის ამხანაგი ლიბერმანი, დამნაშავეთ იცავდნენ ნაფიცი ვექილები თ. კოტ. დადიანს ბ-ნი ოპაჩინინი ხოლო გვანჯი ჩიქოვანს თ მექი ფალავა. სასამართლომ კარგა ხნის თათბირის შემდეგ გამოაცხადა განაჩენი, რომლითაც თავადი კოსტ. დადიანი უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა ხოლო გვანჯი ჩიქოვანის შესახებ ოლქის სასამართლოს განაჩენი დაამტკიცა.

ამ საქმეს დაწვრილებით ანგარიშს ხვალ დავბეჭდავთ.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

6 ნოემბერი

ბელგრადი. გენერალს მარკოვიჩს კაბინეტის შედგენა მიენდო.

რომი. დედოფალს ქალი ეყოლა.

ოდესა. იწვის მანთაშევის ნავთის შესანახი სადგური; იწვის რკინის ექვსი ცისტერნი, რომელშიაც, თითოში ეტევა 50,000 ფუთი ნავთი, და ხუთი მომცრო ცისტერნი. ზარალი დიდია, ჰფიქრობენ, მილიონ მანეთამდე იქნებაო ზარალი.

ლონდონი. შანჰაიდგან ჯარს გამოიყვანენ ნოემბრის გასვლამდე.

რიო-დე-ჟანეირო. როდესაც წინანდელი პრეზიდენტი მიდიოდა აქედგან, ბრბომ დემონსტრაცია მოახდინა; ჯარებმა ბრძოლა იწყეს; ერთი მოიკლა და ბევრი დაიჭრა. ზოგნი დაატუსაღეს კიდეც.

ათინა. „დორდე"-დამ გარდახვეწილი მეზღვაური შეპყრობილ იქმნა და ამტკიცებს, უნტერ-ოფიცერი მარტო მე მოვკალი, რომ კასა გამეტაცნაო.

ნიუ-იორკი. ტრანსვაალის სახელმწიფო მდივნად ყოფილი რეიტცი სწერს, რომ სამშვიდობო ხელშეკრულობა არ ჰზღუდავს მის მომწყრლებს, რადგან იგი ხელმოწერილ იქმნა ცოლთა და ყრმათა დასახსნელადაო.

7 ნოემბერი

ბუდაპეშტი. საერთო ავსტრო-უნგრეთის სატამოჟნო ტარიფი გაუქმდება. სელი ცდილობს ავსტრიასა და უნგრეთს შორის დამოკიდებულების გამორკვევას.

სოფია. როგორც ამბობენ, ზამთრის გამო აჯანყებულთ შეუწყვეტიათ მოქმედება.

ბელგრადი. კაბინეტის წევრნი: მარკოვიჩი—მინისტრ-პრეზიდენტი უპორტფელოდ, პავლოვიჩი—სამხედრო, თოდოროვიჩი—შინაგან საქმეთა, ნოვონოვიჩი—საერო მეურნეობის, ლაზარევიჩი—განათლების, ანტონიჩი—საგარეო საქმეთა, მარინკოვიჩი—ფინანსთა, დენიჩი—საზოგადო საქმეთა.

სიმლა, ინგლისის ახალშენთ ცოტა წინააღმდეგობა გაუწიეს ვაზირიებმა.

პეტერბურგი. საერო განათლების მინისტრის წასვლის გამო სამინისტროს მართველობა მიენდო ლუკიანოვს—ამურის გენერალ-საგუბერნატოროში 20 ოკდომბრიდგან ხოლერა აქ მოსპობილად უნდა ჩაითვალოს.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ნოემბერს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	$37,37^{1}/_{2}$
ლონდონში ჩეკები	94,65
ბერლინში ,,	$46,27^{1}/_{2}$
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	$4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$%
4% სახელმწიფო რენტა	97 მყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	$99^{3}/_{8}$ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	$94^{1}/_{2}$ მყიდ.
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$478^{1}/_{2}$ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$366^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	$293^{1}/_{2}$ წვ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^{1}/_{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^{5}/_{8}$ წვ. გაყ.
$4^{1}/_{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	10,100 გაყ.
აქციები ,, „ „ „	510 წვრ. გაყ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	5,010 გაყ.
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	440 წვ გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	227 გაყ.
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 21 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, პირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე: —ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი

9 ნოემბრისთვის.

1. დავა თოფურიებისა, ცომაიათა და მალიევებისა.
2. დავა გრ. მაჰავარიანისა და სპ. მაჰავარიანის მემკვიდრის კნ. ბარბ. წერეთლისა.
3. გიორგი ჩხოტრაშვილისა და ბაქოს რკინის გზის საზოგადოების დავა.
4. ლუტაძისა, იშხნელისა, ქვავაძისა და გოგბერაშვილის დავა.
5. მიხეილ მონაბეროვისა, დანიელ დავარაშვილისა და ისაკა ცინცაშვილის დავა.
6. დავა ატევისა და სვიმ. გაბანაშვილისა.
7. სარაძისა და აპ. ჩხეიძის დავა.
8. დავა კნ. დესპინე წერეთლისა და მუსტ. ალიხანუზ-ოღლის საქმის თაობაზედ.
9. ბაბული ბახტაძის საქმე.
10. ბახტაძეებისა და სადიხ-ხანუნ აბაშიძის დავა.
11. დავა გაბრიელ ფიჩხაძისა, მიხეილ კოკიტიაშვილისა და ვას. ლორთქიფანიძის საქმეზედ.
12. ივ. ბაქრაძისა და მატრონა მგალობლიშვილის დავა.
13. ტარიელ ნიკოპაძისა და ს. კირვალიძის დავა.
14. დავა კობიძისა და მიხ. ხითარაშვილისა.
15. საქმე კობახიძისა და გ. ვასილიევისა.
16. საქმე რომ. ურდიასა და თომა გაბისონიასი.
17. გრ. კირიასი და პილა უჩანაიშვილის დავა.

განცხადება

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა წლის 12 ნოემბერს, ნაშუადღევის პირველ საათზედ გამგეობისავე თანადასწრებით, **მოხდება საჯარო ვაჭრობა**, რომელზედაც იჯარით გაიცემა ქალაქის მიწა ტფილისის პირველ ნაწილში, სატივოზე, ზომით სამი დესიატინა 1748 ოთხკუთხი საჟენი. მსურველთ შეუძლიანთ პირობები გაშინჯონ გამგეობის მეოთხე განყოფილების კანცელარიაში, ყოველ დღე, დილის ცხრა საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (2—6—2)

10 ნოემბერს, 1902 წ. საღამოს 8 საათზე **ტფილისის სომეხთა ნერსესიანის სასულიერო სემინარიის საბჭოსაგან** 1903 წ. 1-ლს იანვრიდგან გაიცემა იჯარით

სამ სართულიანი სახლი,

რომელიც ეკუთვნის ამ სემინარიას და რომელიც იმყოფება ტფილისში მე-3-მე უბანში სალდათის ბაზარში, პუშკინისა და გრაფის ქუჩებზე სახლის ქვემო სართულში 22 დუქანია თავისის სარდაფებით. სალდათის ბაზრისაკენ ზემო სართულში 9 ოთახია, სადაც ამ ჟამად მოთავსებულია ტრახტირი „ვარშავა", ზოში 4 ოთახიანი ფლიგელია. სახლის ქირა 15827 მან.

პირობები მსურველთ შეუძლიანთ შეიტყონ სამზრუნველოს კანცელარიაში ყოველ დღე კვირა-უქმეებს გარდა დილის 10 საათიდგან, შუადღის 1 საათამდე. (3—453—2)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, შობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს. (წ.)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
Краткій историческій очеркъ врачебнаго дѣла въ Грузіи, И. Алхазова	„	30
Тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи IV т. Н. Марра	3	
Бальваръ и Іодасафъ, А. Хаханова	„	60
О грузинскомъ и русскомъ алфавитахъ съ педагогической точки зрѣнія Я. Гогебашвили	„	20
Георгій XII, послѣдній царь Грузіи, Н. Дубровина	1	
Неестественность „естественнаго" метода въ дѣлѣ обученія языкамъ Л. Боцвадзе	„	10
Очерки по исторіи грузинской словесности, А. Хаханова в. III.	3	„
Замѣтки о городскомъ самоуправленіи на кавказѣ Г. Туманова	„	60
მეცნიერებისათვის წამებულნი, სურათებით, თარგმანი ა. ნიკიტინისა	1	„
ველურობა და განათლება, თარგ. ს. ჯუღელისა	„	30

Дозволено цензурою. 7 Тифлисъ, ноября 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе, Дворцовая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. ხარაჯიშვილი.